


საქართველოს

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



იმისთანა წმინდა საცემში,
ბეჭდებიც ბეჭდური სიფრფველი
ფერილებით და ჭებობით ბაბთის
გაფანა ყველა უკადრისებამდე
უსამაგლესია.



რესპუბლიკა

დაარსებულია
1918 წელს.

სუთხაბათი, 7 ივნისი, 2007 წელი.
№ 106 (5707)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

რუსეთის ფედერაცია ქართულ-
აფხაზურ და ქართულ-ოსურ
კონფლიქტებს ამწვავებს



სააკაზვილი
დანაშაულობათა
ტაღდას ვერ
გამკლავებია


10

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

სამხედრო
კონფლიქტამდე
ერთი ნაბიჯიღა
რჩება

2


არ ვიპოვებთ, რისი
მეონენი ვართ 8
და ისე გაღავსაით
სიბღიღრა უსსოურ
კერძო კომპანიებს?!



4


ვაი, ჩვენ პატრონს,
უბედურს...

„გამარჯვებული
ტელევიზიის“
კიდევ ერთი „გამარჯვება“



დიდ პოლიტიკაში
ვაჭრობა ჩვეულებრივი
რამ არის

6



7

ამ ეტაპზე კონფლიქტის მოსაგვარებლად რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამორიცხულია, სამიტზე პრეზიდენტის გამგზავრებით კი კიდევ ერთხელ გავიგებთ იმათ რეაქციას, ვინც უშუალოდ არის ამით დაინტერესებული და დსთ-ს კოლექტიური საკითხების გადაწყვეტისას სუბიექტები არიან



კოვაცენტური აზრი

რა შედეგს გამოიღებს საქართველოს პრეზიდენტის დსთ-ს არაფორმალურ სამიტზე გამგზავრება, როდესაც საგრძობლად დაიძაბა ვითარება ცხინვალის რეგიონში და სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართულ სოფლებს წყალიც კი გადაუკეტა? — ამ შეკითხვით მივმართეთ პოლიტოლოგ ჯიმი ჯალიაშვილს.

— ვფიქრობ, პრეზიდენტი უნდა იყოს ექვემდებარება დსთ-ს სამიტის მონაწილეებისთვის მოვლენების საკუთარი ინტერპრეტაციის გაცნობას,

— ბუნებრივია, არა, რადგან გამლიზიანებული ფაქტორია და უკურეაქციას ინვესტ, რასაც, შესაძლოა, კონფლიქტურ ზონებში ვითარების გამწვავება მოჰყვება.

ერგნეთის ბაზრობის ჩაკეტვიდან დღემდე მოყოლებული, სეპარატისტულ ძალებზე ასეთი „ჩხვლეტები“ უკურეაქციით მთავრდება და გამწვავებულ შედეგს ახლა თავად ვხედავთ.

ერთი რამ მჯერა — დსთ-ს ფარგლებშიც და საერთაშორისო მასშტაბითაც ჩვენმა ხელი-სუფლებამ პრობლემის აქტუალურობას მიაღწია. თუმცა, ამას სეპარატისტული რეჟიმის დიდი ნაწილმდეგობა მოჰყვება. ცხინვალის რეგიონში ისე დაიძაბა ვითარება, რეალურად არის სამხედრო კონფლიქტის საფრთხე. შეიძლება ითქვას, რომ მანამდე ერთი ნაბიჯი-ღაა დარჩენილი.

სხვა საკითხია, ომის გამომწვევი სხვადასხვა ტექნოლოგიიდან რომელი იმუშავებს. ამას დრო გვიჩვენებს.

პარლამენტში

ბურჯანაძე თავის ნათქვამზე დადგა, კონსერვატორები — თავისაზე

გუშინ კონტროლის პალატაში თბილისის მერიის რევიზიის ოქმის გასაცნობად მისულ დეპუტატებს ზვიად ძიძიგურსა და ბეჟან გუნაყვას მასპინძლები რა ხელგაშლილად დახვდნენ, ჩვენი გაზეთი უკვე წერდა.

შეგახსენებთ: კონსერვატორებს აინტერესებდათ, ბიუჯეტიდან ქალაქის მერიისთვის გამოყოფილი 229 მილიონი ლარიდან სახელდობრ რაში დაიხარჯა 140 მილიონი?

რაკი კონტროლის პალატაში ამის გარკვევა ვერ შეძლეს — უწყების მთელი უფროსობა, თავმჯდომარითურთ, გაერიდა მათ — იგივე საკითხი დეპუტატებმა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დააყენეს, ოღონდ, ამას კონტროლის პალატის ახლადარჩეული თავმჯდომარის ბატონ ლევან ჭოლაძის პასუხისმგებლობის საკითხიც დაუმატეს

და გადანყვებილად თქვეს, იმიტომ დაგვემალნენ, რომ რევიზიის ოქმს აყალბებდნენო.

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერები არც ამას დასჯერდნენ და პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ჭოლაძის კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენა — დანიშვნისა და მისი ზემოხსენებული საქციელის გამო, პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავის თავზე ალებს მოსთხოვეს.

ბოლოს, „ემში“ შესულებმა, ჭოლაძის გადაყენებაც მოსთხოვეს პარლამენტს — ასეთი თავმჯდომარე და ასეთი კონტროლის პალატა გინდ გყვოლია და გინდ არაო. ბურჯანაძემ ერთობ დინჯად გასცა პასუხი გაცხარებულ დე-

პუტატებს, ჟურნალისტებიანად რომ მიადექით გაუფრთხილებლად კარზე, შეგეთანხმებინათ შეხვედრა და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოგვარდებოდა, იმ ოქმსაც აუცილებლად გაცნობდნენ. თქვენ კი იმდენად საქმე არ გაინტერესებდათ, რამდენადაც პიარიო.

ასეთმა ახსნა-განმარტებამ, რაღა თქმა უნდა, აღფრთოვნილი კონსერვატორები ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ უმრავლესობიდან დებატებში ჩაბმის სურვილი არავის გამოუჩენია და საკითხი, ფაქტობრივად, ჰაერში გამოექცა — ბურჯანაძე თავის ნათქვამზე დადგა, დეპუტატები — თავისაზე. ოღონდ, იმ ოქმს აუცილებლად გაცნობიან.

კომე სარალიძე

რა შედეგს გამოიღებს „ჩხვლეტები?“

სამხედრო კონფლიქტამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება

რათა რუსეთმა საქართველოს მისცეს საშუალება, რომ კონფლიქტების ხელოვნურად ესკალაციაში არ ჩაებას. არის საკითხის მეორე მხარე — როგორ მიიღებენ ამას დსთ-ს წარმომადგენლები? ზოგადად, უსაფრთხოების პრობლემა დსთ-ს კოლექტიური მოლაპარაკების პრეროგატივაა. ვინაიდან ჯერჯერობით დსთ-ს წევრი ქვეყანა ვართ, აუცილებლად უნდა მივიღოთ ამ ფორუმში მონაწილეობა და ეს პრობლემები წინ წამოვიწყოთ.

ამ ეტაპზე კონფლიქტის მოსაგვარებლად რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამორიცხულია, სამიტზე პრეზიდენტის გამგზავრებით კი კიდევ ერთხელ გავიგებთ იმათ რეაქციას, ვინც უშუალოდ არის ამით დაინტერესებული და დსთ-ს კოლექტიური საკითხების გადაწყვეტისას სუბიექტები არიან.

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განევრების სანაცვლოდ, საქართველო სარფთან და როკის გვირაბთან ქართველი მესაზღვრეების ჩაყენებას მოითხოვს. რეალურია ეს მოთხოვნა?

— რამდენად თავსდება ეს სამშვიდობოთა ფორმატში, რთული საკითხია, ამაზე რუსეთმა უკვე გასცა პასუხი. ამიტომ პრობლემა ადვილად გადასაწყვეტი არ იქნება. მიუღებელია გაცვლის ასეთი ეკვივალენტიც — ჩავაყენოთ იქ ქართველი მესაზღვრეები, რათა რუსეთი განევრიანდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

სხვათა შორის, რუსეთს მაინცდამაინც აუცილებლად არ მიაჩნია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრება. ეს მან მრავალჯერ აღნიშნა კიდეც.

ამიტომ ცოტა უფრო მოქნილი პოლიტიკაა საჭირო საჩვენოდ უკეთესი პირობების მისაღწევად.

ესაუბრა

თაბარ შაიშაილავილი



ბუნებრივია, ლაპარაკი იქნება საქართველოს სუვერენიტეტზე და ამ სუვერენიტეტის ფარგლებში იმ უფლების მოპოვებაზე, რომ მან ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ საკუთარ ტერიტორიაზე გადაწყვიტოს. მაგრამ ეს რა ფორმით და საშუალებით მოხდება, ძნელი წარმოსადგენია, რადგან დსთ და, განსაკუთრებით, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთის ქვეყნები ასე აყენებენ საკითხს — ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება უაღვრესად რთულია. ასეთ ვითარებაში, პრეზიდენტის ჩასვლას სამიტზე და მათი რეაქციის, დსთ-ს სხვა ქვეყნების დამოკიდებულების გაგებას ამ გამწვავებული კონფლიქტების მიმართ, შესაძლოა, არსებითი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამომავლო პოლიტიკისთვის.

— ეს ვიზიტი კოკოთის სეპარატისტულ რეჟიმთან დაძაბულ ვითარებას განმუხტავს?

ქალაქი ოჯახში

ზღვარი ბამოქვაბულისა და ცივილიზებულ საზოგადოებას შორის

ქალაქობა ოჯახში... ალბათ, ეს პრობლემა ოჯახის ინსტიტუტის შექმნასთან ერთად წარმოიშვა. ყველამ იცის, რომ ოჯახში, სადაც მშობლები გამუდმებით შეურაცხყოფენ ერთმანეთს, ყველაზე მეტად შვილები იჩივრებიან. ასეთ ოჯახებში აღზრდილ ბავშვებს ხშირად უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა, აქვთ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები, გულჩათხრობილი ხდებიან. ამდენად, ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ჩვენი საზოგადოებისთვის.

დახმარებისა და რეაბილიტაციის წარმატებული განხორციელებისათვის ხელის შეწყობაა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, პარლამენტარი გუგული მალარაძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და მონიტორინგის საბჭოს წევრები...

სოზარ სუბარს გვესაუბრეთ.

— რამდენად მოსალოდნელია ამ კანონის სრულყოფილი ამოქმედება ჩვენში?

— „ოჯახში ქალაქობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი 2006 წლის ოქტომბერში უნდა ამოქმედებულიყო. მასში ბევრი რამ დეტალურად არის განსაზღვრული და გამოკვეთილი. სამწუხაროდ, ზოგიერთებს არ სურთ კანონის განხორციელება, რადგან ამ პრობლემას არასერიოზულად მიიჩნევენ. შეხედულება, რომ ოჯახური უსამოვნება ოჯახში უნდა გადაწყდეს, მცდარია (რა თქმა უნდა, როდესაც ქალაქობა იგულისხმება). ამ კანონის მიღება და ამოქმედება მიჯნა გამოქვაბულისა და ცივი-

ლიზებულ ადამიანთა საზოგადოებას შორის. ეს არის სერიოზული პრობლემა, რომელსაც ასევე სერიოზული სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება.

— ქალაქობის რა ფორმებზეა კანონში ყურადღება გამახვილებული?

— ფსიქოლოგიურ-ფიზიკურ, ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, სექსუალურ-ფსიქოლოგიურ და სხვა სახის ქალაქობებზე. კანონში იმის ვრცელი ჩამონათვალია, რის გამოც მოძალადე შეიძლება დაისაჯოს.

— დაბოლოს, რა უშლის ხელს ამ კანონის ამოქმედებას ყველაზე მეტად?

— უამრავი ხელის შეშლელი ფაქტორია. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც იცის, რომ ეს კანონი არის. ბევრი ერიდება პირადი პრობლემების გამოაშკარავებას. აუცილებელია შესაბამისი დაფინანსება და დახმარება სახელმწიფოს მხრიდან... სხვაგვარად კანონი ვერ განხორციელდება.

ვიმეორებ, ზღვარი უნდა გავკლოთ გამოქვაბულისა და ცივილიზებულ, ადამიანურ საზოგადოებას შორის.

სათუნა ჩიგოგიძე

ერთი წლის წინათ, ჩვენს ქვეყანაში მიიღეს კანონი „ოჯახში ქალაქობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამან მაშინ აუიოტაუი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მას ბევრი მონაწილედვე ვყავდა, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მაშინაც და დღესაც მიიჩნევს, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი კანონი, რომელიც აუცილებლად ქმედითუნარიანი უნდა გახდეს.

სწორედ ამ საკითხის შესახებ იმსჯელეს გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ მონიტორინგის საბჭოს შეხვედრაზე. საბჭოს მიზანი ოჯახში ქალაქობის აღკვეთის, ქალაქობის მსხვერპლთა დაცვის,



„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წინა ხელისუფლების დროს ეკონომიკაში გამეფებული საყოველთაო კორუფცია და ქაოსი აშკარად შემცირდა, ხოლო საქართველოს საინვესტიციო ბაზარზე „პირველი ვიოლინოების“ პარტიებს ახლა ნავთობითა და გაზით საარაკოდ მდიდარი რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი ასრულებენ

ეკონომიკური პერსპექტივა

ინვესტორთა „პირველი ვიოლინოები“

საბარტოვილს რუკაზე ევროპასა და აზიას შორის არსებული სავაჭრო გზების აღმნიშვნელი ისრები რომ დავიტანოთ, ქვეყნის ტერიტორია ლამის ერთიანად დაიფარება. ოდესღაც საქართველო ორივე კონტინენტს შორის მხოლოდ სატრანზიტო ტვირთის გამტარებელი დერეფნის როლს ასრულებდა, ვინაიდან კასპიისა და შავ ზღვებს შორის სივრცეში ინვესტიციების დაბანდება ერთ დროს ძალიან ცოტა ვინმეს თუ იზიდავდა. ბოლო დროს კი ვითარება ნამდვილად შეიცვალა, რის არაერთი მაგალითიც არის.

ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი გამარტივება და შესაბამისი სტრუქტურების სამუშაოდ დასავლეთში მიღებული პროფესიული განათლების მქონე ტექნოკრატების მოზიდვაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების შეფასებით, საქართველომ, ზრდის ტემპის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კვლავაც უნდა შეინარჩუნოს შემოსავლების აკრეფის მაღალი დონე, გააძლიეროს საბაზო სამსახურები და განაგრძოს სასამართლო სისტემის მოდერნიზება.

თქვენ, ალბათ, ყველაზე წინ ხართ, მაგრამ თუკი საქმის ხალხი დროს გამოიხატავს და საქართველოს ესტუმრება, რათა საკუთრივ ნახოს აქაურობა და ვითარებას ადგილზევე გაეცნოს, ინვესტიციები, უდავოდ, მეტი იქნება. ეს, უბრალოდ, დროის ამბავია, — განაცხადა ნიუ-იორკის ჰეჯერული ფონდის Fisebird Hanagment LLC საფონდო მენეჯერმა იან ჰეიგმა. აღნიშნული ფონდის სპეციალისტია პოსტსაბჭოურ სივრცეში ფინანსური მოღვაწეობა, იან ჰეიგი კი რამდენიმე წლის წინათ ფონდ Firebird-ის ის მაღალი რანგის მოხელე იყო, რომელიც „საქართველოს ბანკთან“ გარიგე-

ბაზე იყო პასუხისმგებელი, როცა ამერიკელმა ფინანსისტებმა მისი აქციების 14 პროცენტი შეიძინეს. უცხოელ ინვესტორთა ვარაუდით, ტურიზმი კვლავაც იქცევა საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელ დარგად, რომლის დაკნინება თავის დროზე აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია. მაგრამ, უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენში უცხოელი ტურისტების მოზღვაობაა, რაც, განსაკუთრებით, გუდაურსა და ბორჯომში, ასევე ზაფხულში, ცხადია, აჭარაში იგრძნობა. ინვესტორები სიახლოვეთი ყიდულობენ ძველ, საბჭოეთის დროინდელ სასტუმროებს და მათ ხუთვარსკვლავიან თანამედროვე ოტელებად აქცევენ. გარდა ამისა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორები საკმაოდ დაინტერესებული არიან ასევე საკურორტო ზონებში მიწის ნაკვეთების შექმნით და იქ სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნით.

თუმცა, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც, მართალია, აღიარებენ იმას, რომ ტურიზმი საქართველოს აღორძინებული ეკონომიკის ქვაკუთხედი იქნება, მაგრამ, ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, რომ მისი სრულფასოვნად განვითარება, როგორც ჩანს, მანამდე არ იქნება შესაძლებელი, ვიდრე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტები საბოლოოდ არ გადაიჭრება.

თავის დროზე საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა იყო, რაც ჩაისა და ღვინის დაცული ბაზრისა და წარმატური შავი ზღვის სანაპირო კურორტების არსებობით გახლდათ განპირობებული. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა რუსეთმა საზღვრის

კარი გაუღო სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს, საქართველომ დაკარგა ბაზრის თავისი წილი. ამას დაემატა ეკონომიკაში ხშირად სრულიად გაურკვეველი, ნაუსტბათევი წესების შემოღება, ენერგეტიკული კრიზისი და მრავალი სხვა მიზეზი, რომელთა გამო ქვეყანაში რამდენადმე სოლიდური ინვესტიციების მოზიდვაზე ოცნებაც კი ძნელი იყო. ამის მაგალითი თუნდაც საქართველოში უმსხვილესი ინვესტორის, ენერგეტიკული კომპანია AES-ის ისტორიაა, რომელმაც დაახლოებით 250 მილიონ დოლარად თბილისის ენერგომომარაგებელი კომპანია იყიდა, მაგრამ 2003 წელს იძულებული გახდა, აქტივები მისთვის ზარალით გაეყიდა და ქვეყნიდან წასულიყო. საქართველოში AES-ის საქმიანობა ზარალიანი იმის გამო აღმოჩნდა, რომ მისმა მენეჯმენტის სამსახურმა მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის სახელმწიფო საწარმოები, ვერ აიძულა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური სრულად გადაეხადა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წინა ხელისუფლების დროს ეკონომიკაში გამეფებული საყოველთაო კორუფცია და ქაოსი აშკარად შემცირდა, ხოლო საქართველოს საინვესტიციო ბაზარზე „პირველი ვიოლინოების“ პარტიებს ახლა ნავთობითა და გაზით საარაკოდ მდიდარი რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი ასრულებენ.

უფრო მეტიც: საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში მიაჩნიათ, რომ ჩვენში ეკონომიკური შესაძლებლობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე რუსეთში. გავრცელებული აზრით, უწინ სოლიდური ბიზნესი საქართველოში არ იყო, საქართველო მხოლოდ სატრანზიტო დერეფანი გახლდათ. ახლა კი ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა.

კოტე კანდელავი



კანონმდებელი

დიალოგი წარმატებული გამოდგა

„მოძალბაში“ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი რატი სამყურა შეიღმა პარლამენტს მესამე მოსმენით წარუდგინა. მან აღნიშნა, რომ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებულია ყველა ის წინადადება, რაც მეორე მოსმენის დროს „მემარჯვენე ოპოზიციამ“ და „დემოკრატიულმა ფრონტმა“ წამოაყენეს და რაზეც უმრავლესობა და ოპოზიცია შეთანხმდნენ. თუ საარჩევნო სუბიექტმა — პარტიამ ან ბლოკმა საპარლამენტო არჩევნებზე გადალახა — 5-პროცენტიანი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 6-პროცენტიანი ბარიერები, იგი საბაზისო დაფინანსებას ორმაგი ოდენობით, ანუ 300 000 ლარს მიიღებს. მიხეილ მაჭავარიანმა განმარტა, რომ უმრავლესობასა და ოპოზიციას კონსენსუსის მიღწევაში ევროპელი კოლეგები დაეხმარნენ.

პარტიების დაფინანსების თაობაზე შეთანხმების მიღწევა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. ამ საკითხზე უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის საბოლოო შეთანხმება სტრასბურგში მოხერხდა. სადაო იყო მხოლოდ დაფინანსების თარიღი, რასაც გიგა ბოკერია მთავრობაში არკვევდა. კერძოდ, უმრავლესობა ამჯობინებდა, რომ დაფინანსება 2008 წლის იანვრიდან დაწყებულიყო, ოპოზიცია კი დაფინანსებას მიმდინარე წლიდან მოითხოვდა. საერთოდ, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დაფინანსება საარჩევნო შედეგების ზუსტად პროპორციული არ უნდა იყოს. სწორედ ამიტომაც მივიღეთ დაფინანსების შესახებ ასეთი კანონი, აცხადებენ უმ-

რავლესობის წევრები. უმრავლესობაში აღნიშნავენ, რომ ეს კანონი ყველაზე ხელსაყრელი სწორედ ოპოზიციისთვის არის. მათი თქმით, ინიციატივის მიზანი საქართველოში პოლიტიკური კულტურის განვითარებაა. პოლიტიკური პარტიები კერძო შემოსწორებებზე მეტად სახელმწიფოსგან, ანუ ლეგალურად უნდა ფინანსდებოდეს. დიალოგს ოპოზიციისთვის სასურველი შედეგი მოჰყვა, თუმცა, ოპოზიციაში მაინც ამბობენ, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი საერთაშორისო ორგანიზაციების დაუნიებული მოთხოვნის შედეგად გადადგაო.

ზოია ბაქანავა

დაზუსტება

თითქმის გაორმაგება არ სჯობს არარეალურ გასამმაგებას?

საქართველოს მთლიანი ეროვნული შავოსავლის როგორი ზრდა გველოდა 2003-2006 წლებში?

საბარტოვილს პროზოდენტმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა შორის დიალოგი“ თავის გამოცვლაში განაცხადა, რომ 2006 წელს, 2003 წელთან შედარებით, საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი სამჯერ გაიზარდა.

როგორც წესი, როდესაც ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი, მაშინ გულისხმობენ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ან მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეშ) რეალურ ზრდას, ანუ ფასების ზრდის ფაქტორის გათვალისწინებლად. ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს, 2003 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ მხო-

ლოდ 26.9 პროცენტითაა გაზრდილი, დეფლატორმა შეადგინა 26.5 პროცენტი, ნომინალურმა ზრდამ — 60.9 პროცენტი. თუ შესაბამისი დეფლატორით შევფასავთ საქართვე-

ლოს მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდას, მაშინ 2006 წელს მან მხოლოდ 29,1 პროცენტით გადააჭარბა 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ნომინალური ზრდა,

შესაბამისად, 63.3 პროცენტია. ქვემოთ მოგვაცქეს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემები მეშ-ზე და მშპ-ზე ბოლო წლების მიხედვით, საიდანაც კარგად

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შავოსავალი 2003-2006 წლებში			
	2003	2006	2006 %-ით 2003-თან
მთლიანი შიდა პროდუქტი			
- მლნ. ლარი	8564.1	13783.9	160.9
- მლნ. აშშ დოლარი	3994.7	7778.2	194.7
მთლიანი ეროვნული შავოსავალი			
- მლნ. ლარი	8631.3	14092.3	163.3
- მლნ. აშშ დოლარი	4026.1	7981.3	198.2

ჩანს, რომ მშპ 2006 წელს, 2003 წელთან შედარებით, ნომინალურად აშშ დოლარებში, აღნიშნულ პერიოდში ქართული ლარის აშშ დოლართან გამყარების გამო, 95 პროცენტით გაიზარდა, მეშ კი, შესაბამისად, — 98 პროცენტით.

გამოდის, რომ საქართველოს მეშ 2006 წელს ნომინალურად აშშ დოლარებში, ლარის აშშ დოლართან გამყარების გათვალისწინებით, მხოლოდ თითქმის გაორმაგდა და არა გასამმაგდა, ამასთან, ვიმეორებთ, რეალურმა ზრდამ ეროვნულ ვალუტაში (რითაც ოფიციალურად იანგარიშება ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო შედარებები), მხოლოდ 29 პროცენტი შეადგინა (მშპ-ის ზრდამ, კიდევ უფრო ნაკლები — 26.9 პროცენტი).

ცხადია, მთლად ცუდი და ხელწამოსაკრავი არც ზრდის მანიშნებელი ეს მონაცემებია, მაგრამ ციფრებს სიზუსტე უყვარს. მით უფრო, პრეზიდენტის პირით ნათქვამს.

აპო შალია

განა არ შეიძლება ისეთ დანესებულებებს მაინც, სადაც სტუმართა უმრავლესობა ბავშვებია, თუნდაც მაის-სექტემბრის პერიოდში ელექტროენერგიაზე შეღავათიანი ტარიფი დაუდგინონ, რათა პატარების მშობლებს, რომლებსაც კომუნალურ (ახლა კიდევ ახალ საშემოსავლო) გადასახადებს ყოველდღიურად გვიძვირებენ, თუნდაც თვეში ერთხელ შეგვეძლოს პატარების გულების ატრაქციონებით გახარება?



© პაი, ჩვენ პატრონს, უბედურს...

„გამარჯვებული ტელევიზიის“ კიდევ ერთი „გამარჯვება“

1 ივნისს, შემთხვევით თავალი მოვკარი ბ-ნ დავარაშვილს ტელეარხ „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „ღამის შოუში“. ვიფიქრე, ტელევიზიის გენერალური დირექტორია, სარეკლამო საქმიანობაში ნიჭიერ კაცადაა ცნობილი, რამდენიმე კარგი პროგრამაც წამოიწყო ტელევიზიაში, საინტერესო ამბავს მოყვება-მეთქი...

ისემც კარგი დაგეგმაროთ. ბ-ნი დავარაშვილი ბედნიერი სახით და ფრიალ კმაყოფილი მოგვიყვა, თუ როგორ გაემგზავრა ის და მისი რამდენიმე თანატოლი ერთხელ ბუდაპეშტში, ებრაელ ბავშვთა საერთაშორისო ბანაკში (რალაც „არტეკის“ მსგავსი ყოფილა). ბანაკი თურმე საუკეთესოდ არის ორგანიზებული, სერიოზული დაცვით, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად აუზიც, პქონიათ. ბანაკში მათ ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი თუ რა შეიძლება და რა არა, წყალიც დაურიგეს ბოთლებით, რადგან ონკანიდან წყლის დაღვევა არ შეიძლება. ამასთან, გააფრთხილეს, რომ იმ დღეს აუზში არ ეცურავათ, რადგან წყალი წინა ნაკადის ცაშვების შემდეგ გამოსაგვლელი იყო.

მაგრამ საქართველოდან წასულ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, მაინც ეცურავათ (აბა, რისი ქართველები ვიყავითო, თავმონონებით გვიყვება ბ-ნი დავარაშვილი). ასეც მოიქცნენ, მაგრამ ადმინისტრაციას შეუშინებია ისინი,

აუზიდან ამოუყვანია და დაუტუსავეს როგორც შინაგანაწესის დამრღვევთ სახლში დაბრუნებითაც დამუქრნენ.

შენ უხდნენ პატარა კობა დავარაშვილი და მისი ამხანაგები. მაგრამ აქ ისევ თავი იჩინა მათმა „ქართულმა“ საზრიანობამ. უკვე დიდი კობა სიცილით ხითხითით აგრძელებს: „უფრო სებს ვუთხარით, ვილაცყები მოვარდნენ და წყლის ბოთლები აუზში გადაგვიყარეს, უნდა გადავმხტარიყავით აუზში, აბა წყურვილით ხომ არ დავიხრჩობოდიო“. კარგით, რაკი ასეა მაშინ იმათ დავსჯით, ვინც ეს გააკეთა. ხვალ გვაჩვენეთ, ვინ იყვნენო.

მეორე დღეს გაუშნენ კრივებით მთელი ბანაკი და ჰკითხეს საქართველოდან ჩასულ ბიჭუნებს (არ ვიცი, შეიძლება გოგონებიც იყვნენ) – აბა, გვითხარით, ვინ იყოო. ჩამწკრივებულან ებრაელი ბავშვები, მაისურებზე აწერიან რომელი ქვეყნიდან არიან – შოტლანდიიდან, კანადიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, სხვა ქვეყნებიდან და, ალბათ, რალაც საინტერესო ამბის მოლოდინში არიან, ვნახოთ რას მოიმოქმედებენ და როგორ გაამხიარულებენ მთელ ბანაკს საქართველოდან ჩამოსული ყოჩაღი ბიჭუნები, რომლებმაც უკვე მიიქციეს ყურადღება...

მთელი ამ თხრობის განმავლობაში მეც ველოდი რალაც სამხიარულოს, რალაც ისეთს, რითაც საქართველოდან ჩასული ებრაელი ყმაწვილები მოახერხებდნენ სიტუაციის განწესებას.

როგორ გგონიათ რა მოხდა? ძალიან მარტივი რამ – ჩვენმა პატარა კობამ (და მისმა ამხანაგებმა) ხელი დაადეს გერმანიიდან ჩასულ ებრაელ ბიჭუნასა და გოგონას, მათ გადაგვიყარესო წყლის ბოთლები აუზში („გერმანელი ხომ კარგი გასაგდებაა“, – მხიარულად შენიშნა უკვე მოზრდილმა ბ-ნმა კობამ). „მეორე დღეს ვუყურებდით, როგორ მოიკიდეს საწყლებმა ზურგჩანთები და ბანაკიდან წავიდნენ“ – თავისი საზრიანობით აღფრთოვანებული ხითხითით გვიყვებოდა ბედნიერი ბატონი კობა.

როგორ მოგწონს მკითხველო? ხომ საზრიანი ყმაწვილი ყოფილა ბატონი კობა? დღესაც ძალიან მოსწონს თავისი იმუმიწველი მოხერხებულობა. მაინც რა არის არა, ქართველი კაცი, არც ერთ გარემოებაში არ დაიბნევა და იპოვის გამოსავალს, შემდეგ კი ტელევიზიითაც შეუძლია „გააჟღეროს“ საქმენი საგმირონი! ყოჩაღ კობა, ყოჩაღ!

ალბათ ჩვენი ბავშვებიც ასევე უნდა მოიქცნენ მსგავს სიტუაციაში რად გინდა სკოლა და ბავშვების აღზრდა, აგერაა ბატონი კობა და მიბაძეთ მას.

ნამდვილად კი პავლიკ მოროზოვის რალაც თანამედროვე ჰიბრიდთან გვაქვს საქმე. კარგი, ბატონო, მაშინ კობა ბავშვი იყო და თავის დაძვრენისთვის ვერ გააცნობიერა, რას აკეთებდა. მაგრამ დღეს რალაც გვეტრახებება? ან რა არის სატრახებო და სასაცილო? თან ამ-

ბობს, ქართული ჩვევები გამოვავლინეთო.

ეს არის „გამარჯვებული ტელევიზიის“ იუმორი? და ეს კაცია ტელევიზიის შეფი?

იქნებ, მე რამეს ვერ ვხვდები-მეთქი და მეორე დღეს სტუდენტებს ვუამბე ეს შემთხვევა. ბევრს გადაცემა ნახაში ჰქონდა. დიდი გულისტკივილი არ გამოუთქვამთ, ეტყობა შეჩვეული არიან ასეთ ამბებს, მაგრამ ყველა მაინც ერთსულოვანი იყო შეფასებაში – სასაცილო და თავმოსანონი ნამდვილად არაფერია, საძრახისი საქციელია და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამით თავი მოაქვს ტელევიზიის ხელმძღვანელს და ვერ ხვდება (?), რომ თავმოსანონი არაფერია!

რამდენიმე ხნის წინათ სადაც ბაზრობაზე შევესწარი – ერთი ჯეელი ხორბოცით უყვებოდა ნაცნობებს თუ როგორ მოპარა 800 დოლარი თანამგზავრ ქალს, რომელიც მასთან ერთად სავაჭროდ იყო წასული თურქეთსა თუ საბერძნეთში: „ბლაოდა ქალი, რა მეშველება, დაველუპო“. იყო ამ თანამედროვე ქართველი „ვაჟაკის“ ნაცნობ-მეგობრებში ერთი გნისი და ღრიანცელი, ყოჩაღ ბიჭოო“ და სხვ. შემეზიზნა ეს ხალხი და საკუთარი თავიც, მხოლოდ ჩუმად რომ შევეუკურთხე...

იქნებ, ეს „ნარმატებული მოვაჭრე“ იქ, ბუდაპეშტის ბანაკში, იმყოფებოდა მაშინ...

გიორგი პალაშვილი,
იუმორზე (ასეთ იუმორზე) აყრილი

© ინფორმაცია

კოლხიდელები

საქმი

იმუქრებიან

ზუბიდიის რაიონის სოფელ კოლხიდის მოსახლეობა საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება.

1997 წელს სოფლის ცენტრში არსებული ხიდი ძლიერი წვიმის შედეგად ჩაინგრა, რის შემდეგაც სოფელი რაიონულ ცენტრს ფაქტობრივად მონწყდა.

ადგილობრივი მოსახლეობის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ხიდი დღემდე არ აღუდგენიათ.

როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა განაცხადეს, დაახლოებით ერთი წლის წინათ ზუგდიდის რაიონის გამგებელმა ალექსანდრე ქობალიამ ხიდის აღსადგენად საჭირო თანხა განსაზღვრა და მისი გამოყოფის თხოვნით გზების დეპარტამენტის სამმართველოს ოფიციალურად მიმართა, თუმცა აღწესდული ხარჯები ფურცელზევე დარჩა.

მოსახლეობის განცხადებით, თუ ხიდი დროულად არ აღდგება, სოფელში შემშლილობის აქცია გაიმართება.

„პირველი“

© ნოვაცია

საპირდაპირი რასობა?

საპარტიზელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომიას კიდევ ერთ გამოცხადებას – სკოლების დირექტორების ლოტორიონებით დანიშნებას, ბევრი ლატარეას უწოდებს. მინისტრის თქმით, ლოტორიონამდე დირექტორობის კანდიდატებმა ძალზე მკაცრი და ობიექტური შერჩევა გაიარეს, და იმათ გამოკლებით, ვინც ამ რთულ კონკურსში სადირექტოროდ სკოლის არჩევის უფლება მოიპოვა, დანარჩენებს „რამლი უნდა ეყარათ“. ლომია დირექტორების სკოლაში ასე განაწილებას სამართლიანად მიიჩნევს და, ზოგან გამართული საპროტესტო აქციების მიუხედავად, უკან დახევას არ აპირებს.

ცალკე, დირექტორების ასე განაწილება თითქოსდა მართლაც სამართლიანია და მავანთათვის „საქმის ჩანყოფას“, ე. წ. პრესტიჟულ სკოლებში დირექტორობა წამოსკუპებას გამოიციხავს. მაგრამ საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ვარგოდა თუ არ ვარგოდა, დირექტორებად უმეტესად მაინც ლომიას ფავორიტები გაიყვანესო. თუ ასეა, მაშინ ლოტორიონიცა და მთლიანად კონკურსიც აზრს კარგავს – უღირსი გინდა ლატარეაში გრგებია და გინდა ბრძანებით დაუნიშნავთ.

თუ ზემოთქმული სიცრუეა, მაშინ კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი – რა უფრო გამართლებულია, დირექტორი ნაცნობ გარემოს – სკოლას, პედაგოგებისა და ბავშვებს დაუბრუნდეს, თუ უცხო გარემოში დაიწყოს ხელმძღვანელობა? ალბათ, პირველი უფ-

რო გამართლებულია, რადგან უცხო გარემოში ადაპტირებას თავისი სირთულეები აქვს და მათს მოგვარებას დრო სჭირდება. ეს დრო კი ნაცნობ გარემოში შესაძლოა, უფრო საშურ საქმეებს მოხმარდეს. ლოტორიონი არც „გეოგრაფიას“ თვალისწინებს – საქართველოს ერთ ბოლოში მცხოვრები, შეიძლება, ქვეყნის მეორე ბოლოში მდებარე სკოლაში მოხვდეს.

დეპუტატმა ფიქრია ჩიხრაძემ კი პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ჯერ ბატონ ლომიას მიულოცა ნოვაცია და მერე წინადადება წამოაყენა, კარგი იქნება, თუ ლოტორიონით შერჩევის წესს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოშიც დავნერგავთ. ეგებ, მაშინ მაინც შემცირდეს მათში ნაცნობობა ბელთა ოდენობაო...

მარიამ გურგენიძე


© რეალიზა

ცოტა ხნის წინათ, მეგობარს ვახლი თბილისის ზოოპარკში (კვირადღეს შვილიშვილები ჰყავდა სახეირნოდ წაყვანილი) – და ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

– მამი, მამი, მონპასი-კანფეტი მიყიდე, რა, – გულს უწყალებს ბიჭუნა მშობელს. თავგაბებრებული მისო კი გაღიზიანებული უპასუხებს – მონპასე კი არა, ვერტალიოტ გიყიდი, არ გინდა?

– ე, მონპასს არ ყიდულობ და ვერტალიოტ მიყიდი? – წყნით ამბობს ბავშვი.

გამახსენდა და მეგობარს ვუამბე. ღიმილით მიპასუხა, ნაღდად მისოს ბიჭის დღეში არიან ეს ჩემი ანგელოზები, ყველა სურვილს ვერც მე ვუსრულებ პატარებსო.



კი, მაგრამ რატომ ვერაო, იკითხავს მკითხველი, რომელსაც ბოლო დროს ზოოპარკში ფეხი არ შეუდგამს. რატომ, ბატონო და იმიტომ, რომ თუმცა ბავშვებს ზოოპარკში, ცხადია, უპირველესად ცხოველების ნახვა აინტერესებთ, მაგრამ, არც კარუსელზე, საქანე-

მიყიდა რა, მონპასი, მიყიდა!...

ლაზე თუ სხვა ატრაქციონზე არიან „მწყრალად“. ჰოდა, ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების შემდეგ, ატრაქციონების პატრონებმა, უთუოდ ზოოპარკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ორჯერ გაზარდეს თითოეულზე ბილეთის ფასი და თუკი ადრე

მშობელი, მაგალითად, კარუსელის ბილეთში 50 თეთრს იხდიდა, ახლა ლარის „ჩამოყაჭვა“ უწევს.

ერთი შეხედვით, ეს მომატება არ არის ოჯახის ბიუჯეტის დამქცევი, მაგრამ, მიახლოებით ანგარიშითაც კი, ერთი პატარის გასეირნება ზოოპარკში (მუშტაიდის ბაღში, სხვაგან) დაახლოებით 6-7 ლარი ჯდება. არადა, თუ ორი ან სამი ბავშვი გყავთ წაყვანილი? მერე ჰაერზე მადა მოსდით (ღმერთმა სულ მადაზე ამყოფოთ!) და ფუნთუშა და ლიმონათიც ხომ უნდა უყიდოთ?

იქნებ ვინმეს რიტორიკულად მოეჩვენოს, მაგრამ განა არ შეიძლება ისეთ დანესებულებებს მაინც, სადაც სტუმართა უმრავლესობა ბავშვია, თუნდაც მაის-სექტემბრის პერიოდში ელექტროენერგიაზე შეღავათიანი ტარიფი დაუდგინონ, რათა პატარების მშობლებს, რომლებსაც კომუნალურ (ახლა კიდევ ახალ საშემოსავლო) გადასახადებს ყოველდღიურად გვიძვირებენ, თუნდაც თვეში ერთხელ შეგვეძლოს პატარების გულების ატრაქციონებით გახარება? ისიც ხომ საფიქრალაა, რომ მრავალ მშობელს არც იმის საშუალება აქვს, შვილები ზაფხულში აგარაკზე დაასვენოს?

ოთარ ტურაბალიძე

№ 106. ნოვემბერი, 2007 წელი. 7 ივნისი.

თამადა გიორგი მაჩაბელი იყო. რასპუტინი დათვრა, დაუსრულებლად ცეკვავდა, ქართველები ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარსო, გააჰყვიროდა. როცა შეასხენეს, პეტროგრადში ჩვენი ეკლესია გვინდა გვეკონდესო, მასპინძლებს ალუთქვა: „კარგი, ქართველებისთვის ამას გავაკეთებ!“ იმ საღამოს იმდენი იცეკვა, იმდენი დალია, რომ დილას ცოცხალ-მკვდარი წაიღეს მანქანით.



ბრიგორი რასპუტინი

დავიწყებული სახეები

1915 წლის შემოდგომაზე ილიამ დიდი მედროვე და ავანტიურისტი, მეფე-დედოფლის ფა-ვიონტი გრიშკა რასპუტინი გა-იცნო.

ეს თავად დავით ბაგრატიონ-დავითაშვილის ბინაში გამარ-თულ ვახშამზე მოხდა. თავადს რაღაცის მოგვარება სურდა თავის „ჭიათურის საქმესთან“ დაკავშირებით (მგონი მალა-როთა ნაწილს ფლობდა), ამას ყოველის შემძლე რასპუტინის დახმარებით ცდილობდა და უხვ სუფრას უშლიდა ხოლმე. ილია და მისი მეგობარი გვარ-დიის კაპიტანი კონსტანტინე ჯავროვი (ჯავრიშვილი) იქ მა-შინ მივიდნენ, როცა რასპუტინი უკვე გვარიანად იყო ნაყლაპი და ჭინჭყლობდა.

საშუალო ტანის, გამხდარი, მაგრამ დაძარღვული, გრძელ-წვერა, ცივფერადი მუყიკი მა-გიდასთან საშინლად იქცეოდა, გვერდით მსხდომ ქალებს ხე-ლებს უფათურებდა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ბო-ლოს კენიან ნინო მირიანოვა-ციციანოვას ეცა და ჩაბლუჯა. ნიკოლაის ჰოსპიტლის უფ-როსმა ექიმმა პოროხოვსკიმ ვერ მოითმინა და ხელი ჰკრა. რასპუტინი დაეცა, მაგრამ მა-შინვე წამოხტა გაავებული. ყვე-ლა გარს შემოეხვია, დაშოშმი-ნება დაუწყეს, ექიმი მთვრალია და აპატიეო. ძლივს დააწყნარეს (მაგრამ რასპუტინი გულღრძო კაცი გახლდათ - პოროხოვსკი მეორე დღესვე დაითხოვეს სამ-

ლა-როდში“ გაიმართა. ბაგრა-ტიონ-დავითაშვილთან მიღე-ბული გაკვეთილით ჭკუა ისწა-ლეს და მხოლოდ კაცები მოინ-ვიეს. ი. მაჩაბლისა და კ. ჯავ-რიშვილის გარდა, იქ იყვნენ ოფიცერი ვასო ვაშაძე, ვანო ნა-სიძე, ალექსანდრე ყიფიანი, ქი-მიკოსი გიორგი ციციშვილი, მომღერლები სანდრო დოლო-ნაძე და მაკაროვი, რამდენიმე რუსი ნაცნობი და გიორგი მა-ჩაბელი (ილიას ნათესავი, ცნო-ბილი რევოლუციონერი, თე-ბერვლის რევოლუციის შემდეგ გორის მაზრის კომისარი. 1918 წლის 19 მარტს წამებით მოკ-ლეს ცხინვალში ოსთა ბოლშე-ვიკური აჯანყების დროს).

თამადა გიორგი მაჩაბელი იყო. რასპუტინი დათვრა, და-უსრულებლად ცეკვავდა, ქარ-თველები ამქვეყნად ყველაზე

რომელიც მან წაანერა ხელნა-წერ ჟურნალს „Грузин - по-литехник“-ს პეტროგრადში 1913 წელს (ეს ლექსი შემდეგ დაიბეჭდა):

„...Я дарю вам стихи
веселые, как би-ба-бо
и острые и нужные,
как зубчишка“.

პოეტმა სტუდენტებს განუ-მარტა, „ბი-ბა-ბო“ ხელზე წა-მოსაცმელი თოჯინააო.

„ბი-ბა-ბოს“ გასახსნელად (გრადონაჩალინიკ ა. ობოლენს-კის ნებართვის მიღება არ გას-ჭირვებია) ილიამ 30 ათასი მა-ნეთი თავად ნიკო მინგრელს-კისგან ისესხა, დანარჩენი თანხა - თავისი მარტოხელა ცხოვრე-ბის ნაზი მეგობრის, ქვრივ აგ-რიპინა ივანოვნასგან. და-საწყისში „ბი-ბა-ბო“ იყო რეს-ტორანი თეატრალური ატრი-

ნიშვილმა მალე შეამ-ჩნია მისი ნიჭი და წი-ნადადება მისცა, ყვე-ლაფერს მიაფურთხე და თეატრალურ სა-მუშაოზე გადმოიღო. მოღვაწეობის სფეროც შეურ-ჩია - თეატრი მაგიდებით. ასე იშვა „ბი-ბა-ბო“. კომპანიონად თავისი მაშინდელი მეუღლე - ოპერეტის მსახიობი ნატალია ტამარა შევიდა, სამხატვრო ხელმძღვანელობა თვით კ. მარ-ჯანიშვილმა იკისრა.

თეატრი 1917 წლის 6 იანვარს გაიხსნა. ამ დროისთვის დაჭ-რილ ქართველ ჯარისკაცთა დახმარების საზოგადოება და-იშალა, რადგან ა. ობოლენსკის გრადონაჩალინიკობიდან გადა-ყენებისა და ფრონტზე გამწე-სების გამო, სალომე მინგრელ-სკვია პეტროგრადიდან გაემ-

უგანათლებულესი თავადი მინგრელიისა

მეტად მიყვარსო, გააჰყვიროდა. როცა შეასხენეს, პეტროგრად-ში ჩვენი ეკლესია გვინდა გვეკონდესო, მასპინძლებს ალუთქვა: „კარგი, ქართველე-ბისთვის ამას გავაკეთებ!“ იმ საღამოს იმდენი იცეკ-ვა, იმდენი დალია, რომ დილას ცოცხალ-მკვდარი წაიღეს მანქანით.

სიტყვა შეასრულა კი-დეც: ქეიფიდან ორი დღის შემდეგ, სინოდის განკარ-გულებით, ქართველებს გამოუყვეს ვასილის კუნძულზე მდებარე წმინ-და ანდრიას დიდი ტაძარი. მალე თბილისიდან ჩავიდა მღვდელი ჩიჯავაძე, სტუ-დენტთაგან ჩამოყალიბდა მგალობელთა გუნდი და ეკლესია ამოქმედდა. პეტ-როგრადის ქართველობამ მშობლიურ ენაზე ლოცვის შესაძლებლობა და თავ-შეყრის ადგილი მიიღო.

რასპუტინის ერთობ მოეწონა ენაწყლიან, მომღვწე ილია მა-ჩაბელთან დროსტარება და ხშირად სარგებლობდა მისი საზოგადოებით. ილიასთვისაც ხელსაყრელი იყო ეს ერთობ-ლივი სადილ-ვახშამები (თუმცა, საკმაოდ ძვირი უჯდებო-და). ჯერ ერთი, მაყაშვილის სა-პაიო საქმისთვის იყენებდა ყოველის შემძლე გრიგორი ეფი-მიჩთან ნაცნობობას, მეორეც, თავისი დამოუკიდებელი ბიზ-ნესის მოგვარებაში ეძლეოდა შემწეობა.

საქმიანი ურთიერთობა მარ-თლაც ჰქონდათ. 1916 წლის შე-მოდგომაზე პეტროგრადში გა-იხსნა „არტისტიკული კუთხე“ - „ბი-ბა-ბო“, ერთობ მომგები-ანი დაწესებულება. ომის გამო, დედაქალაქში სპირტიანი სას-მელების თავისუფალი გაყიდ-ვა აკრძალული იყო, „ბი-ბა-ბოში“ კი ღვინო და არაყი წყა-ლივით მოედინებოდა. ამაში რასპუტინის მძლეთამძლე ხე-ლი ერია.

რესტორნის სახელწოდება ალბულისა ვლადიმერ მაიაკოვ-სკის ლექსის დაბოლოებიდან,

ბუტებით, შემდეგ, რასპუტინის სიკვდილის უმალ, იგი გახდა „თეატრი მაგიდებით“, მოსკო-ვის ბელიაევის „ლამურას“ მსგავსად. ამაში ჩვენს დიდ რე-ჟისორს, მაშინ პეტროგრადში მოღვაწე კოტე მარჯანიშვილს მიუძღვის წვლილი.

1916 წლის ოქტომბერში ილი-ამ პალას-თეატრში შეიარა-ოპერეტის სპექტაკლზე. ამ თე-ატრს ორსართულიანი უმშვე-ნიერესი შენობა ეკავა იტალი-ის ქუჩაზე. ზედა სართულზე ოპერეტის თეატრი იყო, სადაც მთავარ რეჟისორად მარჯა-ნიშვილი მუშაობდა, ქვედაზე - ფეშენებელური კაფე-შანტა-ნი. ორივე დაწესებულებას ერ-თი ხელმძღვანელობა ჰყავდა. ანტრეპრეზორმა ილია თავისი კაბინეტში მიიწვია, ცნობილ რეჟისორ მარჯანოვს თქვენი გაცნობა სურსო. მარ-ჯანიშვილმა საოცარი შთაბეჭ-დილება მოახდინა მასზე, მო-აჯადოვა. გრადონაჩალინიკის დადგენილების დარღვევისთ-

გზავრა. ილია მთლიანად თე-ატრის მუშაობაში გადაერთო.

ბეჭდის ცდილობდა ილიას დახმარებით გაცნობოდა რას-პუტინს. ამ ვერაგ და გაიძვერა კაცთან დაახლოება იოლი საქ-მე არ იყო, ვაგლახად არავის ენდობოდა. ილიაც არიდებდა თავს ამ საფრთხილო საქმეს. უშედეგოდ დამთავრდა ცნო-ბილი თბილისელი კომერსან-ტის აკაკი ხოშტარიას მრავალ-გზისი ცდა რასპუტინთან შელ-წევისა. რაღაც ჩახლართული საქმის მოგვარებაში შემწეო-ბას ითხოვდა. ილია მაჩაბელ-მა ხათაბალაში გახვევას თავი აარიდა, სხვა რეკომენდატორი კი რასპუტინმა არ მიიკარა და აკაკი ხოშტარია, ეს მარჯვე, გამოცდილი კაცი, საქართვე-ლოში ისე დაბრუნდა, გორო-ხოვიათ 64-ში გრიშკას ბინის ზღურბლს ვერ გადააბიჯა.

მაგრამ, როცა პატრონმა ნი-კო მინგრელსკიმ წმინდა ადა-მიანური ცნობისმოყვარეობის გამო სთხოვა, რასპუტინი გამა-ცანიო, უარი ვერ უთხრა, თუმცა გრიშ-კას ხასიათიდან გა-მომდინარე, აქედან კარგს არაფერს ელოდა. ვახშამი „ვი-ლა - რ ო დ ე შ ი“ გაიმართა. მინგრელ-სკის გარდა, მინვეუ-ლი იყვნენ რუსეთის წითელი ჯვრის სა-ზოგადოების მთავა-რი სამმართველოს თავმჯდომარის მო-ვალეობის შემსრუ-ლებელი გენერალი ივანე ნაკაშიძე, გრე-ნადერთა პოლკის ოფიცრები კოტე ჯავრიშვილი და ვასო ვა-შაძე, ქიმიკოსი გიორგი ციციშ-ვილი, აპოლონ ცისკარიშვილი, ივანე ნასიძე, ნესტორ ცინცაძე, ნავიცი მსაჯული პავლე მოსუ-ლიშვილი, გიორგი ლორთქი-ფანიძე, მომღერალი სანდრო დოლონაძე და სხვ.

ალეკო ასლანიშვილი (ბაბრქალაძე იქნება)



ილია მაჩაბელი

სახურიდან). მისი გუნების გა-მოსწორება ილიამ და კოტემ შემძლეს სიმღერითა და ლაღი ხუმრობით.

ის ის პერიოდი გახლდათ, როდესაც პეტროგრადის ქარ-თულ კოლონიაში მომწიფდა აზრი ქართული ეკლესიის გახ-სნის თაობაზე. დედაქალაქის ახალდანიშნული მიტროპოლი-ტი, საქართველოს ყოფილი ეგ-ზარხოსი პიტირიმი თითქოს წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ საქმე მაინც გაჭიანურდა. მაშინ იდეის ავტორებმა რასპუტინის გამოყენება გადაწყვიტეს. გა-იხსენეს ილია მაჩაბლისა და კო-ტე ჯავრიშვილისადმი გრიშკას სიმპათია და მასთან მოლაპარა-კება სთხოვეს.

გრიგორი ეფიმიჩმა გულითა-დად მიიღო ჭაბუკები, მოუს-მინა და დახმარებაც ალუთქვა, ოღონდ ერთი პირობით, კარ-გი ქართული სუფრა გაშალეთ, მიყვარს თქვენებური ქეიფიო. ვახშამი ქალაქგარეთ, იმ დროს მოდურ რესტორან „ვი-

ბაბრქალაძე. ლასანყისი
იხ. „სრ“ № 104-105.



კოტე ჯავრიშვილი

ვის ჩვენს თეატრს ადმინისტ-რაციული წესით სამი თვით პა-ტიმრობა აქვს მისჯილი, ვიცი, რომ ობოლენსკის ოჯახში ში-ნაური კაცი ხართ, იქნებ გვი-შუამდგომლოთ, პატიმრობა ჯარიმით შეგვიცვალონო, სთხოვა კოტემ. შეჰპირდა, დაე-ტრიალდებო და მართლაც მოახერხა ეს.

იმ დღის შემდეგ განსაკუთ-რებით დაახლოვდნენ. მარჯა-

ინფორმაცია

რათა კავკასიაში

ეგვილოვა

დაგვარდეს

საქართველოს, ჩვენთვისა და აზერბაიჯანის ომის ინვალიდ-თა საზოგადოებრივმა გაერთი-ანებამ შეხვედრა გამართა. შეხ-ვედრაზე კავკასიაში მშვიდო-ბის აღსადგენი ღონისძიებების დაგეგმვასთან ერთად საერთო-შორისო სტრუქტურის ჩამოყა-ლიბება გადაწყდა, დასახლე-ბით „მშვიდობიანი კავკასია“.

ქართულ მხარეს ომის ინვა-ლიდთა საზოგადოების „დე-მეტრე თავდადებულის“ თავმ-ჯდომარე მანანა მეზუკე წარ-მოადგენდა, ჩეჩნურს კი - რუ-სეთ-ჩეჩნეთის ომის ინვალიდ-თა საზოგადოება „სალამი“.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კავკასიის რეგიონში მშვიდო-ბის დასამყარებლად ყოფილ-მა მებრძოლებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან. უახ-ლოეს ხანში ორგანიზაცია მსხვილმასშტაბიანი პროექტე-ბის განხორციელებას გეგმავს, რომელიც კავკასიაში მშვიდო-ბიანი გზით პრობლემის გადაჭ-რას გულისხმობს.

XO-206-260

დაკავებული

ქართველები

გაათავისუფლეს

ოსურმა მხარემ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ძალო-ვანი უწყებების მიერ დაკავე-ბული სამი ქართველიდან ორი, რომელთაც ოსი ძალოვანები ნარკოტიკების უკანაგზაში ადა-ნაშუალებდნენ, - კობა ბარბა-ქაძე და ზვიად ცუცქერიძე - გაათავისუფლა.


გათავისუფლებულთა ინ-ფორმაციით, კიდევ ერთი და-კავებული ქართველი - ივანე ზედგენიძე ცხინვალის იზოლა-ტორში რჩება.

წინასწარ საქართველოს შინა-გან საქმეთა სამინისტრომ ცხინ-ვალის რეგიონში მძევლად აყ-ვანილი სამი ქართველი მოქა-ლაქის დაუყოვნებლივ გათავი-სუფლება და მათ გატაცებაში ეჭვმიტანილების - „აოპოლჩენ-ცების“, ზნაურის რაიონის სო-ფელ წნელისის მკვიდრების არ-კადი ძერანოვის, დავით ცხოვ-რებოვის და გიორგი თედვეის ქართული სამართალდამცველი ორგანიზაციისთვის გადმოცემა მოითხოვა. მოთხოვნის შუღს-რულებლობის შემთხვევაში ქართული მხარე ადეკვატური ზომების მიღებით დაიმუქრა.

სამინისტროს ინფორმაციით, ივანე ზედგენიძე, კობა ბარბა-ქაძე და ზვიად ცუცქერიძე ცხინ-ვალის დე ფაქტო შინაგან საქ-მეთა მინისტრის მიხეილ მინძავეის უშუალო ბრძანებით 3 ივნისს გაიტაცეს, 2 ივნისს კი არკადი ძერანოვმა, დავით ცხოვრებოვმა და გიორგი თედვე-ევმა ასევე ფულის გამოძალვის მიზნით როსტომ ნოზაძე და ვა-სილ გელაშვილი გაიტაცეს. შსს-ს ინფორმაციით, არკადი ძერა-ნოვი - 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის რაიონის სოფელ ჩორ-ჩანასთან ბაქო-სუფსის ნავთობ-სადენის რაიონგადაამცემი სად-გურის აფეთქების გამო, დავით ცხოვრებოვი - მკვლელობებისა და ყაჩაღობის გამო, ცნობილი კრიმინალი“ გიორგი თედვევი კი კონტრაბანდის გამო იძებნებან.

„ამრველი“

ჯერ, ალბათ, ის უნდა გავარკვიოთ, რამდენად არის საჭირო სხვაზე დამსგავსება, და თუ ეს ასე აუცილებელია, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა ჭეშმარიტება. ოცნებით არაფერი გამოვა



ენერგეტიკა

ახლა საქმე მხოლოდ ფულის დროულად გადახდაა

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ მფლობელი კომპანია „ენერჯო-პრო ჯორჯია“ ქვეყნის ზოგ რეგიონში აბონენტების ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ზუსტად ერთ წელიწადში, მომავალი წლის 1 ივნისისთვის დაასრულებს, ზოგან კი — ორ წელიწადში, რის შესახებ „სემეკში“ განაცხადებს.

ალსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროდან სამართლებრივი დასკვნის მიღების შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ დაამტკიცა დადგენილება „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შესახებ“. ამასთან, როგორც „სემეკში“ განმარტეს, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამის დასრულების ვადად, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიას 2007 წლის 31 დეკემბერი ჰქონდა (ამის ხორ-

ცხესხმის ხელშემშლელ მიზეზებზე ცალკე მოგიხსნათ). მიღებული გადაწყვეტილებით, ერთი წლის განმავლობაში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დასრულდება ქიათურაში, გორში, ხაშურში, რუსთავეში, თერჯოლაში, წყალტუბოში, ქუთაისში, ფოთში, ლანჩხუთში, ახალციხეში და დუშეთში, ხოლო ქვეყნის სხვა ქალაქში ეს პროცესი 2009 წლის 1 ივნისისთვის დასრულდება.

ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ მომხმარებელთათვის ინდივიდუალური მრიცხველების დაყენება გამანაწილებელი კომპანიების ქსელებში ელექტროენერჯის კომერციული დანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირებას შეუწყობს ხელს.

აქვე იმასაც დავეძენთ, რომ მთელი მსხვილი დასახლებული პუნქტში, კერძოდ, წალენჯიხაში, ბორჯომში, მცხეთაში, ოზურგეთში, სამტრედიოში, საჩხერეში, ზუგდიდში, ზესტაფონში და სხვაგან, მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის ინდივიდუალური მრიცხველების დადგმის პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია.

ოთარ ტურაბელიძე

გაზომარაბევა

ბუნებრივი გაზის ახლახან გაზრდილ ტარიფში ნაწილობრივ, ჩადებულია მიმდინარე წლის საშუალო შეწონილი ტარიფი, რომლითაც საქართველოში გაზის იმპორტი განხორციელდება. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანიდან გაზის განახლებული იმპორტის ფასი რუსეთიდან მოწოდებულზე საგრძობლად დაბალია, გაზის სამომხმარებლო ტარიფის შემცირებისკენ გადახედვას კომი-

შეხვედრა

რას მოჰპოვებინებს გადასახადების „შეუღლება“?

საბადასახადო განაკვეთების შემცირება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში მოღვაწე უცხოელი ბიზნესმენებისთვის, — აღნიშნა ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა უცხოელ ბიზნესმენებთან ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომელიც სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა. მინისტრმა ბიზნესმენებს, კერძოდ, საკანონმდებლო ინიციატივა გა-

უაპოვიოსირებან თუ არა გაზის ტარიფს?

სიაში ამ ეტაპზე არ აპირებენ. მკითხველს შეეახსენებთ, რომ ათასი კუბური მეტრი რუსეთიდან მოწოდებული გაზის ფასი საქართველოსთვის 235 დოლარია, აზერბაიჯანიდან მიღებული ამავე მოცულობის გაზისა კი — 167 დოლარი.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით სემეკს გაზის ტარი-

ფის დაახლოებით განახევრება მოსთხოვეს, რისთვისაც კომისიის საგანგებო სხდომის ჩატარება იქნება საჭირო. საგულდისხმოა ის გარემოებაც, რომ იმის ზუსტად დადგენა, თუ რა მოცულობის ბუნებრივი გაზი შემოდის ამჟერად რუსეთიდან საქართველოში, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ზურაბ ვაშაძე

მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა და ქვეყნის სათავეში „მრავალი მაგიდა“ მოვიდა, დასაბუთებულად თუ დაუსაბუთებლად იმძალავრა პატრიოტულმა სულისკვეთებამ საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად გადაქცევის თაობაზე. ეკონომიკური იდეოლოგიის საფუძვლებს მოკლებული გამოინათქვამები არც ეროვნული ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მისვლამდე იყო უცხო.

განსაკუთრებული „განსწავლულობით“ ის ინტელიგენცია გამოირჩეოდა, რომელსაც მოქვიანებით ქვეყნის პირველმა პირმა „ნათელი“ უწოდა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური პოტენციალში დარწმუნებული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, მხატვრები, მსახიობები და არა ეკონომისტები დაბეჯითებით უმტკიცებდნენ ნანატრი დამოუკიდებელი ცხოვრების მოსურნე ქართულ საზოგადოებას, რომ საქართველოს ყველაფერი გააჩნია იმისათვის, რომ ეკონომიკურად წელგამართულმა, უდარდელად იცხოვროს. მარტო „ბორჯომი“, ღვინოები და კურორტები რად ღირს, სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ. და იყო შედარებები, არც მეტი, არც ნაკლები, შვეიცარიასთან, ავსტრიასთან, საფრანგეთთან სხვა განვითარებულ ქვეყნებთან.

მიდიოდა წლები. ნანატრი და დაპირებული კარგი ცხოვრების ზღაპარი ისე დნებოდა, როგორც გუშინდელი თოვლი, მაგრამ არ ილეოდა ჯიქური დაპირებები და, რაც მთავარია, სხვასთან შედარებები.

სიტყვა „ჯიქურის“ ხმარა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან მართლაც ასეთ დაპირებებთან გვქონდა და გვაქვს საქმე. კატეგორიულობა იმას ნიშნავს, რომ წუთითაც არ შეგეპაროს ეჭვი შენი ქვეყნის სამომავლო წარმატებებში და თუ შეგეპარა, ვაი შენი ბრალი! მინიმუმ ბრმის სტატუსი გარანტირებული გაქვს.

დიდი პოლიტიკური ვაჭრობა

დღევანდელ დაპირებებში თვალნათლივ იკითხება, რომ თუ მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახდება, პრობლემა არ იქნება, ვინაიდან სრულყოფილად მიუღწეველი, მიღწეულად ჩაითვლება და თუ ხელისუფალთა მტკიცებას აღმაცერად შეხედავთ, ბრმის სტატუსს ყრუს სტატუსიც დაემატება.

არადა, რას გვერჩიან ჩვენი მბრძანებლები. ხმას ჩვენ არ ვიღებთ და არ ვთხოვთ, მაინცდამაინც შვეიცარიას დაგვამსგავსეთო. ვართ ჩვენთვის თავჩაქინდრულ შრომაში, ვისაც შრომის შესაძლებლობა გვაქვს, ვისაც არა, იშვიათად წამოვიწვავლებთ საკუთარი არსებობის გასამართლებლად.

ერთი იყო და, ძალით გვირდებოდა, ბელგიას დაგამსგავსებთო. ისე ომასიანად უდერდა მისი დაპირება 1974 წელს, გეგონებოდათ ნათელმხილველ ვანგასთან აუდიენციიდან ეს-ესაა გამოვიდაო. არადა, მხოლოდ ვანგა

თუ შეძლებდა და ისიც სიზმარში, იმ პერიოდის საქართველოს 3 წელიწადში ბელგიად გადაქცევა.

ძნელია პირველ კაცს ტყუილი დასწამო, მაგრამ იმთავითვე უზარმაზარ ზღაპრად შეიძლება გადაიქცეოს. მაგრამ აუსრულებელი ოცნება.

მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკურ გაჯანსაღებას არაფერი ეშველა. აქაც ისეთივე უძრავ-უცვლელი სურათია, როგორც პრეზიდენტის დაპირებაში, თუმცა ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ ქვეყანა ეკონომიკური წარმატებებით მოწინავეა მსოფლიოში. ხელისუფლების თავდაჯერებულ განცხადებებს ზურგს უმაგრებს ოკეანისგაღმედი დამრიგებლების რალაცნაირი გათვლები, რომლებიც ქვეყნის გარეთ მტერს უბრმავეებს თვალებს, შიგნით კი მოყვარებს. და ისევ დაპირებები, შედარე-

ბები — საქართველო სამ წელწადში დუბაის, სინგაპურს, ჰონკონგს დაემსგავსებაო. წინა შედარებებთან აშკარად იგრძნობა გეოგრაფიული სხვაობა. ამჯერად არაბულ სამყაროსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისკენ გავსტე გვზი აღებულა.

ნატვრით ყველაფრის ნატვრა შეიძლება. დაპირება კი სარისკო საქმეა. გარკვეულ ვალდებულებას შეიცავს, მით უმეტეს ქვეყნის პირველი პირისა. ერთიც ვნახოთ და ამ დამუწვევულმა ხალხმა მოგთხოვოს — სად არის და ნაპირები სინგაპურის, სად მიდის ხარ? მაგრამ, როგორც ჩანს, მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ კარგად იცის, რის მომთხოვია ხალხი. რაც მართალია, ხალხს შედარებით ახლოს მყოფი ბელგიობა არ მოუთხოვია და ცხრა მთასა და ზღვას იქით მყოფ ჰონკონგობას ან სინგაპურობას მოითხოვს?

მართლაც, საოცრებაა დუბაი, ჰონკონგი, სინგაპური, მძლავრი ეკონომიკით, ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემით, უზრუნველყოფილი ცხოვრებით. ოდნავი პატრიოტული გრძნობის მატარებელ მათ მნახველს უმაღლეს ალექსანდრე მსგავსის სამშობლოში ხილვის სურვილი.

გასულ საუკუნის 90-იან წლებში სინგაპურ-ჰონკონგის კოდეე ერთხელ ნახვამ უმაღლეს მადრიკინა, რომ 21-ე და არა მე-20 საუკუნის დასასრული იყო. ასეთი გრძნობა ნიუ-იორკშიც კი არ გამოიწვია. სინგაპურთან ნაცნობობა 1972 წელს დაიწყო და უნდა გითხრათ, მაშინაც უდიდესი სიმპათია დაიმსახურა ჩემში ამ ქალაქმა-სახელ-

მნიფომ — ვად ატყორცნილი სუპერდახვეწილი ცათამბჯენებით, შესანიშნავი მასტურობით, მომსახურებით, მშვიდობი, მაგრამ საქმიანი ატმოსფეროთი. იმ დროს მთელს ქალაქში თითქმის 24-საათიანი სამშენებლო მუშაობა იყო გაშლილი.

არანაკლები ტემპი იყო იმდროინდელ ბრიტანულ კოლონიაში, ამჟამინდელ ჩინეთის სუბეალურ ეკონომიკურ ზონა ჰონკონგში. მას შემდეგ არაერთხელ მომიხდა ამ ქალაქების ხილვა, რის შემდეგაც მეტადეობა აზრი, რომ ისინი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ადრე. წარმატებები აშკარად თვალნათელი იყო.


შეიძლება თუ არა სინგაპურად, ჰონკონგად ან დუბაიდ გადაქცევა არა 3 წელში, არამედ თუნდაც 10 წლის შემდეგ?

ჯერ, ალბათ, ის უნდა გავარკვიოთ, რამდენად არის საჭირო სხვაზე დამსგავსება, და თუ ეს ასე აუცილებელია, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა ჭეშმარიტება. ოცნებით არაფერი გამოვა.


ჰონკონგისა და სინგაპურის მოსახლეობის უმრავლესობას ჩინელები შეადგენენ. თავისუფალმა ეკონომიკურმა აზროვნებამ და ჩინური შრომისმოყვარეობის შერწყმამ გამოიწვია ის უდიდესი ეკონომიკური ნახტომი, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ამ ქალაქებში. ისიც ყურადსაღებია, რომ აღმავლობა 3 წლის განმავლობაში არ მომხდარა. გარდაქმნები გასული საუკუნის 60-იან წლებში იღებს სათავეს.

თუ ჩვენი ხელისუფლება საქართველოში ჩინულად მომრავლების იმედად არის (რაც ნამდვილად შეიმჩნევა), მაშინ შორეულ მომავალში აუცილებლად შევძლებთ ჰონკონგად ან სინგაპურად გადაქცევას.

დღეს, ან თუნდაც 3 წლის შემდეგ მიუღწევლად მიმჩნია ამ ზღაპრის სინამდვილედ გარდაქმნა. თავი დავანებოთ ეკონომი-



სარწყავი არხების წმენდა და მასთან დაკავშირებული ხარჯების განწვევაც ადრე გლესს უხდებოდა, რაც ბევრად ალემბატება დღევანდელ საფასურს, მიმდინარე წლიდან კი მაგისტრალური არხების რეაბილიტაციაზე თავად შემოსხენებული საზოგადოებები იზრუნებენ



ეროვნული ბიზნესი

სოფელი

სარწყავი წყალი დეფიციტი არ იქნება, მაგრამ სასურველ უბლებს როდის ვიპოვებთ?

ალმოსავლით საქართველოში კლიმატური პირობები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სარწყავი წყლის გარეშე სასოფლო-სამეურნეო კულტურის სასურველი მოსავალი მივიღოთ. მეტიც, ხშირად გლესი იძულებულია, ზაფხულში ნათესი 3-4 ჯერაც კი მორწყას. აქამდე გლესი ერთი ჰექტარი მიწის მორწყავაში 6 ლარს იხდიდა, მაგრამ საკმარისი წყალი ხან იყო, ხშირად კი - არა. როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ საქვეუწყებო სტრუქტურა - სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი გააუქმა. მისი ქონების საფუძველზე რეგიონების მიხედვით ოთხი კომპანია დაფუძნდა: შპს „სიონი-მ“ (ქვემო ქართლი), შპს „კოლხეთი“ (დასავლეთ საქართველო), შპს „მტკვარი-მ“ (მცხეთა-მთიანეთი), სამცხე-ჯავახეთი და შიდა ქართლი, და შპს „ალაზანი-მ“ (კახეთი). მათი ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სარწყავი წყლის გაძვირებასთან დაკავშირებით ამიერიდან გლესი ერთი ჰექტარი ფართობის მორწყავაში 75 ლარს გადაიხდის, სამაგიეროდ თანხა აღარ იქნება დამოკიდებული მოხმარებული წყლის რაოდენობაზე და მორწყავის ჯერადობაზე. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა მოზიდული სახსრებიდან, მხოლოდ 2007 წელს, 24,7 მლნ ლარი დაიხარჯება. შემდგომი წლების სარეაბილიტაციო პროექტების გეგმაც დეტალურადაა განვიხილო.

სარწყავი არხების წმენდა და მასთან დაკავშირებული ხარჯების განწვევაც ადრე გლესს უხდებოდა, რაც ბევრად ალემბატება დღევანდელ საფასურს, მიმდინარე წლიდან კი მაგისტრალური არხების რეაბილიტაციაზე თავად შემოსხენებული საზოგადოებები იზრუნებენ. სამინისტროში აჯამებენ უკვე განუხლები სამუშაოების შედეგებს. კერძოდ, შიდა ქართლის რეგიონში ტაშისკარის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, რაც „ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციის განვითარების“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა. იმავე პროექტის შედეგად შეკეთდა ხაშურის გვირაბი, მაგისტრალური არხი და მეორე რიგის გამანაწილებლები. ტაშისკარის სარწყავი სისტემის შეკეთების შედეგად 3,3 კილომეტრის სიგრძის გვირაბის გამტარუნარიანობა წამში 4-5 კუბურ მეტრამდე გაიზარდა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა წყალუზრუნველყოფილი ფართობების ოდენობა ხაშურისა და ქარელის რაიონებში. აღდა თვით ტაშისკარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაც, მაგისტრალური არხი 21,23 კილომეტრის სიგრძის

მონაკვეთზე, მასზე განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები და 1000 ჰექტარ ფართობზე მეორე რიგის გამანაწილებელი არხები ხაშურის რაიონში, რომელიც მოიცავს სოფლებს ტეზერის, ოსიაურს, სატივს, ჩუმათელეთს და სხვა. განახლდა აგრეთვე მაგისტრალური არხის 12,81 კილომეტრის სიგრძის უბანი და 82 კილომეტრის საერთო სიგრძის მეორე რიგის გამანაწილებლები 2227 ჰექტარ ფართობზე (ხაშურისა და ქარელის რაიონების სოფლებში - ცხრამუხაში, ქვიშეთში, მოხისში, ვაყაში). ტაშისკარის სარწყავი სისტემაზე განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მოიწვევა 7515 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რეგიონის 10 220 ოჯახი დაკმაყოფილება ხარისხიანი მომსახურებით და გაიზარდება აგროკულტურათა მოსავლიანობა. პროექტის განხორციელებით


სათვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 8,3 მილიონი ლარი უკვე დაიხარჯა. მიუხედავად იმისა, რომ, სამინისტროს ხელმძღვანელობის აზრით, სარწყავი წყალი ამიერიდან დეფიციტური არ იქნება, 75-ლარიანი მომსახურების საფასური კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მნიშვნელოვნად არ გააძვირებს, ჩვენს ბაზარს ჯერჯერობით ეს არ ეტყობა, პირიქით, ყველაფერი თანდათან ძვირდება და ქალაქის მოსახლეობას პროდუქტების შექმნა უჭირს. გასათვალისწინებელია, ალბათ, ისიც არის, რომ ჩვენს წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ალანის, იორის, რიონის, ხრამის, მაშვერას და სხვა მდინარეების წყალში ერთ თეთრსაც არ ვიხდით.

ნაზი იხანიშვილი

გლოუსი

ჩვეულებრივი რამ არის

კურ ან სხვა მიღწევებს. მართალია რად ღირს, რომ გასული საუკუნის ბოლოს სინგაპურის ყველა მოსახლე უზრუნველყოფილი იყო საკუთარი ბინით ან სახლით. ქალაქის ქუჩებში ისეთი სისუფთავეა, როგორც ჩვენი კარგი დიასახლისის მიერ დასუფთავებული ბინაში. სინგაპურში საღებავი რეზინის ქუჩაში გადაადგებისათვის ჯარიმად 500 სინგაპურული დოლარი იყო დაწესებული, ნავის დაყრატზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. თუ წამიერ პარალელს გავვლებთ ჩვენს დედაქალაქთან, მიუხედავად ქალაქის მერის ყუყლოჩინა დაპირებებისა, ვერა და ვერ მოგვარდა ქალაქის ნავისგან გათავისუფლების საკითხი. ოდნავი ძლიერი წვიმის შემდეგ ქალაქის ქუჩები ივსება მთებიდან და სამშენებლო ობიექტებიდან ჩამოტანილი ღორღით, სამშენებლო ნაგავით. მტკვრის სქელი ფენა, რომელიც აკრავს ქალაქის ქუჩებს, ოდნავი ნიავის ან ავტოტრანსპორტის გავლის დროს, გაუმჭირვალე ღრუბლად იქცევა და წარმატებით ილექება ჩვენს ფილტვებში. მსგავსს არათუ სინგაპურში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ვეღარ შეხვდებით. არც ერთი ქვეყნის დედაქალაქში საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა ისე გასაიდუმლოებული არ არის, როგორც თბილისში. ავტობუსების გაჩერებაზე არ არსებობს არავითარი გრაფიკი. არაფერ იცის, როდის მოვა ნანატრი ტრანსპორტი. ავტობუსის ცდაში მეტი დრო იხარჯება, ვიდრე სასურველ ადგილამდე მისვლაში. და ასეთ დროს ძნელია ილაპარაკო სინგაპურად ან ჰონკონგად გადაქცევაზე, სადაც ნამებშია გათვლილი არა მარტო ტრანსპორტის მოძრაობა, არამედ მთლიანად საქმიანობა. რამ გამოიწვია უაღრესად დახვეწილი სისტემა? უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის, ერთმანეთის, სახელმწიფოს, საქმის, სამსახურის, კანონის პატი-



ვისცემამ და, რაც მთავარია, ტყუილის უკუგდება. იქ სხვა მენტილიტეცია. იმიტომ, რომ ისეთი გახდეს, არათუ 3, 30 წელიც არ იქნება საკმარისი. მართო გარემონტებული ან ახლად აშენებული მაღაზიები ან ოფისები არ კმარა. საჭიროა მომსახურე პერსონალი და ამ პერსონალის მიერ იმის შეგნება, რომ ისინი მომსახურების სფეროს მუშაკები არიან და არა მინისტრები - ჩვენში ნებისმიერი დარგის მომსახურე მუშაკი თვლის, რომ ის მისთვის შეუფერებელ საქმეს ასრულებს. მას უფრო მეტი ეკადრება, თუნდაც მინისტრობა ან პარლამენტის წევრობა. რატომაც არა? გაუმართლებელ ამბიციებში ხელი-სუფლება უწყობს ხელს, „საშუარი“ დანიშნულებით. როდესაც ქვეყანაში უხვად არიან დაბალი ინტელექტის და არავითარი გამოცდილების მქონე მაღალი თანამდებობის თინეიჯერები, შეუძლებელია, მადა სხვას არ გაუჩნდეს, თითქმის ყველა დარგში პერსონალის ძალისმიერმა გათინეიჯერებამ მძიმე შედეგი მოუტანა ქვეყანას.

თავდაჯერებულობა და პროფესიონალიზმს თამაში კარგად აქვთ შეთვი-სებული დღევანდელს. ამას წინათ საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ისეთი სიმტკიცით განაცხადა - რუსეთს, როგორც თანაბარ სახელმწიფოს დაველაპარაკებო, ეჭვი შემეპარა - ამდენ ხანს სხვანაირად ელაპარაკებოდნენ? დამოუკიდებელი სახელმწიფო, მისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიძლიერის ან სტატუსის მიუხედავად, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს სხვასთან. ამის ხაზგასმა საჭირო არ უნდა იყოს. პატარისა და დიდის ურთიერთობებზე სხვა აზრისაა მიჩინების უნივერსიტეტის სამართლის სპეციალისტი, პროფესორი ჯექსონი: „რომელ თანაბრობაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთ ქვეყანაში 100 მილიონი ცხოვრობს, მეორეში 1, როდესაც ერთის ეკონომიკა ტრილიონებით იზომება, მეორის ძლივს აღწევს რამდენიმე ფირმის შემოსავლის დონეს“, - ამბობს ის. მიუხედავად ამ ქვემარტებისა, საქართველო მოჭარბებულად მტკიცე აღმოჩნდა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განხორციელებასთან დაკავშირებით რუსეთის დელეგაციასთან გამართული მოლაპარაკებების დროს. ქართული მხარის მოთხოვნა მიუღებელი აღმოჩნდა სტუმრებისათვის. არადა, რუსეთს გასული წლის ნოემბერში ჰანოიში, აზია-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის დროს, აშშ-თან საზეიმო ვითარებაში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ყველაფერი გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ რამდენიმე

ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, გადაელობა ამ სურვილებს. საქართველომ ადრე მიღებული თანხმობის ხელმოწერა გაინვია შემდეგი განცხადებით: „რუსეთმა უნდა შეასრულოს 2004 წლის შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში საქართველოს მებაჟეების ჩაყენების თაობაზე“. რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გრეგმა განაცხადა, რომ: „საქართველოს მცდელობა, პოლიტიკური მეთოდებით იმოქმედოს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ნეგატიურად აღიქმება რუსეთის ეკონომიკური პარტნიორების მიერ“. 10 წელზე მეტია, რუსეთი ნვალობს აღნიშნულ ორგანიზაციაში შესვლისათვის. განაცხადი მან 1993 წელს შეიტანა. 1995 წელს ორგანიზაციამ გამოჰყო მუშა ჯგუფი 58 წევრი სახელმწიფოს შემადგენლობით, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა რუსეთის ორგანიზაციაში განხორციელების საკითხი, ყველა მათგანთან გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულებები. გარდა გარე ბარიერებისა, არანაკლებ ძნელი იყო შიდა პრობლემების დაძლევა. რუსეთის ეკონომიკის დიდი ნაწილი დამფრთხალი იყო ორგანიზაციაში შესვლით გამოწვევის კონკურენციით. ისინი მიეჩვენებენ სახელმწიფო დოტაციაზე ცხოვრებას. მათთვის ძნელი იყო წარმოების გარდაქმნა. შიდა ბარიერები მხოლოდ 2002 წელს მოიხსნა. გარე ბარიერებიდან რთული იყო ევროკავშირთან მოლაპარაკება. ამ ორგანიზაციის ყველა წევრი ცდილობდა თანხმობის ხარჯზე რუსეთთან მისთვის სასურველი პროდუქტის მოგვარებას. რუსეთმა ყველა მათგანთან ცალ-ცალკე გააფორმა ორმხრივი ხელშეკრულება და მათი მხრიდან თანხმობის მიღებისათვის კიოტოს პროტოკოლსაც მოაწერა ხელი. ჩინეთთან მოლაპარაკების დროს ჩინური მხარე დიდ ინტერესს გამოთქვამდა რუსეთში ჩინური მუშახელის მუშაობის და

წვრილ მოვაჭრეთა გაიოლებული მოქმედების თაობაზე, თუმცა ეს საკითხი არაოფიციალურად იყო დასმული. ოფიციალურად კი მოთხოვნა გაზის მიწოდებას ეხებოდა. მეორე რიგი პრეტენზიები ჰქონდათ ამერიკელებს - ტელეკომუნიკაციებიდან დაწყებული, დაზღვევით, საბანკო სისტემით და, რაც მთავარია, სამოქალაქო ავიამშენებლობით დამთავრებული. ამერიკელები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ბოინების შესვლას რუსულ ბაზარზე ნაცვლად რუსულ საავიაციო მშენებლობისა. ამერიკელებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზეც. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, რუსეთის მხარისათვის უცხო არ უნდა იყოს შანტაჟის მსგავსი პრეტენზიების მოსმენა. მას არც საქართველოს უნდა უნდა გაუკვირდეს. ვაჭრობა დიდ პოლიტიკაში მიღებული რამ არის. ჩვენი მხრიდან, საშვის გაცემის დროს, იქნებ ჩვენთვის საინტერესო რაიმე დათმობას გამოვკრათ ხელი, რაც სულაც არ არის დაკავშირებული სავაჭრო ორგანიზაციისათვის. მაგანი ალბათ დაინტერესდება, იყო თუ არა სხვა ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვის ასე ძნელი ორგანიზაციაში გაწევრება? გაწევრების პროცედურა სხვადასხვა ქვეყნისთვის სხვადასხვანაირი გამოდგება. ზოგისთვის - იოლი, ზოგისთვის - რთული. საქართველოს ან მოლდოვის მიმართ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს (150) საერთოდ არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, ვინაიდან მათი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ნულს უტოლდება. ღვინო და მწვანილი დიდ პრობლემას არ ქმნის. საქართველო-მოლდოვას შედარება გიგანტური მრეწველობის მქონე რუსეთთან შეუძლებელია.

გამელტ შიხაშვილი, პოლიტოლოგი

№ 106. 7 ნოემბერი, 2007 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სათა ღაღალი

ტყეა საქართველოს უნიკალური ბუნების მშვენიერება. ბუნებრივ რესურსებს შორის მას ფრიად მაღალ მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ტყეებში მდგრადი მეურნეობის გაძლიერება მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის აღორძინება-განვითარების შესატყვისი ერთიანი სატყეო პოლიტიკა და სატრატეგია, სადაც ჩა-

მოყალიბებული იქნება გარემოსდაცვითი ფუნქციების შენარჩუნება-გაძლიერებისა და, რაც მთავარია, ტყის მეურნეობის მართვის ოპტიმალური სისტემა, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი. დარგმა მართვის საყოველთაოდ აღიარებული მეურნეობის ტრადიციული ფუნქციები თითქმის მთლიანად დაკარგა. ტყეში ველურ ხორციელდება გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო თუ სხვა ღონისძიებები.

ბით ტყის ჭრის წესების დაცვაზე მკაცრი კონტროლია დანერგული, მაგრამ სხვა ქვეყნების, ასევე საკუთარი გამოცდილება მოწმობს, რომ ეს კონტროლი, უმეტესწილად უკვე მოჭრილი ხეების ოდენობას ეხება. ტყისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებას კი ათეული, ანდა, სულაც ასეული წლებიც დასჭირდება.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე კარგად უნდა შეიგნოს, რომ, უწინარესად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები: - ტყით უწყვეტი სარგებლობა; - ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება; - ტყის პროდუქტიულობისა და ფიტოსანიტარიზაციის ამაღლება.

მართალია, მერქნით უწყვეტი სარგებლობის მოქმედი წესები, მათი სწორად გამოყენებისას, უზრუნველყოფს ეკოლოგიური სტაბილურობის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და მერქნით სარგებლობის ეკოლოგიური სტაბილურობის მოთხოვნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გრძელდება ტყეების ჭრის წესების უხეში დარღვევები, რაც მათ გამეჩხერებასა და ზოგჯერ განადგურებასაც იწვევს. ამიტომ, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ტყის მართვის საკითხები.

ტყის მართვის საქმეში დაშვებული სერიოზული შეცდომები, არასწორად ხდება კადრების შერჩევა-განაწილება. ტყეებში საქირო ღონისძიებები, დაუფინანსებლობის გამო, აღარ წარმოებს. სახელმწიფო ბიუჯეტს, ჯერჯერობით, კვლავ არ შეუძლია ამ მიზნით თანხების გამოყოფა.

ასეთ ვითარებაში დაფინანსების ალტერნატიული წყაროები უნდა გამოიხატოს. ჩვენი აზრით, ეს ალტერნატივა თვით ტყეებში შეიძლება მოვიძიოთ. მაგრამ, კანონმდებლობის საფუძველზე, სატყეო მეურნეობას ყოველმხრივი განვითარების გარეშე სამეურნეო საქმიანობა აეკრძალა, თუმცა ამ საქმიანობით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდა და მეურნეობის განვითარებასაც ხმარდებოდა.

დღეს ამტკიცებენ, თითქოს წარსულში ჩვენს ტყეებში მეურნეობა არ წარმოებდა, მაშინ, როცა საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ტყეში მეურნეობის წარმოების მაღალი დონით. საქართველოში შემუშავებული მისი ტყეებში მეურნეობის გაძლიერების წესები გამოყენებული იყო სხვა რესპუბლიკებშიც. პარადოქსია, მაგრამ ახლა ვითარებას ისე ხედავენ, თითქოს ტყეებში რაციონალური მეურნეობის წარმოებას თურმე ახლადა ეყრება საფუძველი; გასაკვირია ის მოსაზრება, თითქოს მეტყვევ სპეციალისტების უმრავლესობა კორუმპირებული, არაკომპეტენტური იყო. მართალია, კადრების შერჩევა-განაწილებაში, წარსულშიც არ იყო გამოირცხული გარკვეული შეცდომები, მაგრამ, რაც ახლა ხდება, იმას წარსულში ვერც წარმოიდგენდნენ. სატყეო მეურნეობის მართვის სტრუქტურული ფაქტორები ვად პროფესიონალ მეტყვევთა გარეშე არის დარჩენილი. ასეთ პირობებში გამოირცხული არ არის მეურნეობის წარმოების წესების უხეში დარღვევები. ხეტყე უმთავრესად, კვლავ სამრეწველო-ამორჩევითი ჭრების გამოყენებით მზადდება, საგრძობლად უარსებობს ტყის პროდუქტიულობა და ფიტოსანიტარიული მდგომარეობა. ხეტყის დამაზადებელი პროდუქციის ადგილზე დაბალ ფასებში ყიდულობს, საზღვარგარეთ კი გაცილებით მეტად ყიდის, მისი მიზანია, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის ხეტყის მოჭრას და მისი რეალიზაციით მაქსიმალური მოგება მიიღოს. ფაქტია, რომ ხეტყის დამაზადება-გამოზიდვისა და რეალიზაციის მთელი ციკლი ისეა აწყობილი, რომ ყველა მოგებული რჩება, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა და თვით სატყეო მეურნეობისა. ხეტყის ექსპორტი, რასაკვირველია, დასაშვებია, მაგრამ, გასატანად წება-დართული მხოლოდ ადგილზე გადაამუშავებული ხეტყის პროდუქტია უნდა იყოს. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მისი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ასეთ ვითარებაში საქიროდ მიგვანია, მკითხველის ყურადღება გავამახვილო ტყეების გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემის საკითხზე.

მართალია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნებადართულია ტყეების გრძელვადიან სარგებ-

ლობაში გადაცემა, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება დაადასტურა, რომ ეს ტყით უწყვეტი სარგებლობის მოთხოვნების დაცვას ვერ უზრუნველყოფს. ამის კლასიკური მაგალითია ტროპიკული ზონისა და ციმბირის ცალკეული რეგიონის ტყეების ხანგრძლივადიან სარგებლობაში გადაცემა, რამაც იქ ბევრგან ტყეების გაჩანაგება და მთლიანი განადგურებაც კი გამოიწვია.

ცნობილია, რომ 2007 წლის 1 მაისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარდა აუქციონის სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონების ტყის მასივებში გრძელვადიანი სარგებლობის (20 წლის ვადით) ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოსაპოვებლად. ცნობილი გახდა, რომ აუქციონში გაიმარჯ-

ვს ქართულ-ჩინურმა, ქართულ-ბელგიურმა და ქართულ-იტალიურმა კომპანიებმა. აუქციონის მოთხოვნებში სწორადაა მითითებული, რომ გამარჯვებულმა კომპანიებმა ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი წლის ვადაში, სხვა მრავალ მოთხოვნასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დეტალური ინვენტარიზაციის მონაცემები.

საინტერესოა, თუ არ ვიცით კერძო კომპანიებს რა გადაეცა, რა გარანტიაა, რომ მათ მიერ ჩატარებული ტყის ინვენტარიზაცია სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი იქნება? გამოირცხული არაა, რომ ხეტყის დამაზადებელმა, ტყის დამახასიათებელი მონაცემები და, რაც მთავარია, მოსაჭრელი ხეტყის ოდენობა ზუსტად არ განსაზღვრეს. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს კერძო კომპანიაზე ახალციხის სატყეო უბნის ტყეების გადაცემის სალიცენზიო დოკუმენტაციიდან, კერძოდ, წლიურად 21,5 ათასი კუბური მეტრი ხეტყის მოჭრას გათვალისწინებული, მათ შორის თურმე სამასალა - 9,3 ათასი კუბური მეტრი, ანუ 43,2%, საშუალო კი - 12,2 ათი კუბური მეტრი, ანუ 56,8%, ასეთი გათვლა, რასაკვირველია, არ არის სწორი და ხეტყის დამაზადებლისთვის არის სასარგებლო, ვინაიდან გადაცემულ ხეტყეს გაცილებით დაბალ ფასებში შეიძენს. უნდა გვახსოვდეს, რომ მოიჯარე დაინტერესებულია, რაც შეიძლება დიდი ოდენობის მაღალი ხარისხის ხეტყე იაფად მოიპოვოს და მაქსიმალურ ფასებში გაყიდოს. ის ნაკლებად დაინტერესებული ტყის ჭრის წესების დაცვით. ამიტომ გამოირცხული არ არის; რომ ხეტყე ერთი და იმავე უბნებზე მოჭრან, რასაც ტყეების გამეჩხერება-გაჩანაგება მოჰყვება, თანმდევი ნეგატიური ეკოლოგიური მივლენებით. მართალია, სპეციალური ლიცენზიის მოთხოვნე-

რესებს. ამიტომ მერქნით სარგებლობის პროცესი, არსებული წესების შესაბამისად, მთლიანად ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციებისადმი დაქვემდებარებული. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ტყეების არანორმალური ექსპლუატაციის მწარე გამოცდილება, მეტად უარყოფითი შედეგებით, ჯერ კიდევ მოჭარბებულია გვაქვს. ხშირად უხეშად ირღვევა პრინციპული მოთხოვნები: **სადა, რამდენი და როგორი წესით უნდა მოიჭრას ტყე?**

ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები ირღვევა, ამის გამო გახშირდა წყალდიდობები, ღვარაკოვები, ეროზიული პროცესები და სხვა უარყოფითი სტიქიური მოვლენები, რომლებიც აურაცხელ ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას. აშკარად გამოჩნდა, რომ ტყის ექსპლუატაციის კულტურის დონე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაბალია.

ბუნებრივ პროცესებში დაუფიქრებელი ჩარევების შედეგად, მრავლად მოგვეპოვება ეკოლოგიურად „ცხელი“ ადგილი, მაღალმთიანეთის ეკოსისტემების დესტაბილიზაციის გამო არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი. მდინარეების წყალშემკრებ აუზებში მრავალადა სტიქიური მოვლენების კერები. მაგალითად, მდინარე ენგურის ხეობაში და არა მარტო იქ, ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის გამოცვლევებით, აღინიშნება 72 საზღვრული ზედასაშიში, ხოლო 47 - ღვარაკოვების კერა, აგრეთვე ეროზიის, მენყერებისა და ქვათაცვენის საშიში ზონები. გარემოს სხვა ფაქტორებთან ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ შემოსვანეთის ტყეების ექსპლუატაცია ხშირად მეტყვევობით მოთხოვნების უხეში დარღვევით წარმოებს და თუ რას მოიმოქმედებს ამ მხრივ ქართულ-ჩინური კერძო კომპანია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველა შემთხვევაში მიგვაჩინა, რომ მისი საქმიანობა ამ ტყეებს და, საერთოდ, ეკოლოგიურ წინასწარობას სიკეთეს არ მოუტანს.

დამაფიქრებელი კი ისაა, რომ ტყეების უდიერ ექსპლუატაციისა და სხვა არასწორი სამეურნეო ქმედებების გამო, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში, ბევრ ადგილას თითქმის მთლიანად მოიშალა მოსახლეობის საცხოვროსი, მოხდა მათი მიგრაცია, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი სოფლის გაუქმებაც კი მოჰყვა.

საკმაოდ მოიმატა ტყის უნებართვოდ გაჩეხვის ფაქტებმა. იმის დადგენაც კი ვერ ხერხდება, თუ უნებართვოდ ყოველწლიურად რამდენი ხეტყე იჭრება. გაანალიზებულ არაა თუ რა არის ტყის უნებართვოდ ჭრის ნამდვილი მიზეზები, დასახული არაა მათი აღკვეთის ქმედითი ღონისძიებები.

სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამდებობის არაპროფესიონალ პირს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რატომღაც მიაჩნია, რომ ტყეთმონყობის სამუშაოების გამარჯვებულმა კომპანიებმა უნდა დაეხმარებინათ მათი უნებართვოდ ტყის დაზიანების გამომწვევების გამართვაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ შემოსვანეთის ტყეების ექსპლუატაცია ხშირად მეტყვევობით მოთხოვნების უხეში დარღვევით წარმოებს და თუ რას მოიმოქმედებს ამ მხრივ ქართულ-ჩინური კერძო კომპანია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველა შემთხვევაში მიგვაჩინა, რომ მისი საქმიანობა ამ ტყეებს და, საერთოდ, ეკოლოგიურ წინასწარობას სიკეთეს არ მოუტანს.

დამაფიქრებელი კი ისაა, რომ ტყეების უდიერ ექსპლუატაციისა და სხვა არასწორი სამეურნეო ქმედებების გამო, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში, ბევრ ადგილას თითქმის მთლიანად მოიშალა მოსახლეობის საცხოვროსი, მოხდა მათი მიგრაცია, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი სოფლის გაუქმებაც კი მოჰყვა.

საკმაოდ მოიმატა ტყის უნებართვოდ გაჩეხვის ფაქტებმა. იმის დადგენაც კი ვერ ხერხდება, თუ უნებართვოდ ყოველწლიურად რამდენი ხეტყე იჭრება. გაანალიზებულ არაა თუ რა არის ტყის უნებართვოდ ჭრის ნამდვილი მიზეზები, დასახული არაა მათი აღკვეთის ქმედითი ღონისძიებები.

არ ვიცოდეთ, რისი მქონენი ვართ და ისე გადავცეთ სიმდიდრე უცხოურ კერძო კომპანიებს?!

საინტერესოა, თუ არ ვიცით კერძო კომპანიებს რა გადაეცა, რა გარანტიაა, რომ მათ მიერ ჩატარებული ტყის ინვენტარიზაცია სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი იქნება?

გამორიცხული არაა, რომ ხეტყის დამაზადებელმა, ტყის დამახასიათებელი მონაცემები და, რაც მთავარია, მოსაჭრელი ხეტყის ოდენობა ზუსტად არ განსაზღვრეს. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს კერძო კომპანიაზე ახალციხის სატყეო უბნის ტყეების გადაცემის სალიცენზიო დოკუმენტაციიდან, კერძოდ, წლიურად 21,5 ათასი კუბური მეტრი ხეტყის მოჭრას გათვალისწინებული, მათ შორის თურმე სამასალა - 9,3 ათასი კუბური მეტრი, ანუ 43,2%, საშუალო კი - 12,2 ათი კუბური მეტრი, ანუ 56,8%, ასეთი გათვლა, რასაკვირველია, არ არის სწორი და ხეტყის დამაზადებლისთვის არის სასარგებლო, ვინაიდან გადაცემულ ხეტყეს გაცილებით დაბალ ფასებში შეიძენს. უნდა გვახსოვდეს, რომ მოიჯარე დაინტერესებულია, რაც შეიძლება დიდი ოდენობის მაღალი ხარისხის ხეტყე იაფად მოიპოვოს და მაქსიმალურ ფასებში გაყიდოს. ის ნაკლებად დაინტერესებული ტყის ჭრის წესების დაცვით. ამიტომ გამოირცხული არ არის; რომ ხეტყე ერთი და იმავე უბნებზე მოჭრან, რასაც ტყეების გამეჩხერება-გაჩანაგება მოჰყვება, თანმდევი ნეგატიური ეკოლოგიური მივლენებით. მართალია, სპეციალური ლიცენზიის მოთხოვნე-

რესებს. ამიტომ მერქნით სარგებლობის პროცესი, არსებული წესების შესაბამისად, მთლიანად ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციებისადმი დაქვემდებარებული. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ტყეების არანორმალური ექსპლუატაციის მწარე გამოცდილება, მეტად უარყოფითი შედეგებით, ჯერ კიდევ მოჭარბებულია გვაქვს. ხშირად უხეშად ირღვევა პრინციპული მოთხოვნები: **სადა, რამდენი და როგორი წესით უნდა მოიჭრას ტყე?**

ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები ირღვევა, ამის გამო გახშირდა წყალდიდობები, ღვარაკოვები, ეროზიული პროცესები და სხვა უარყოფითი სტიქიური მოვლენები, რომლებიც აურაცხელ ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას. აშკარად გამოჩნდა, რომ ტყის ექსპლუატაციის კულტურის დონე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაბალია.

ბუნებრივ პროცესებში დაუფიქრებელი ჩარევების შედეგად, მრავლად მოგვეპოვება ეკოლოგიურად „ცხელი“ ადგილი, მაღალმთიანეთის ეკოსისტემების დესტაბილიზაციის გამო არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი. მდინარეების წყალშემკრებ აუზებში მრავალადა სტიქიური მოვლენების კერები. მაგალითად, მდინარე ენგურის ხეობაში და არა მარტო იქ, ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის გამოცვლევებით, აღინიშნება 72 საზღვრული ზედასაშიში, ხოლო 47 - ღვარაკოვების კერა, აგრეთვე ეროზიის, მენყერებისა და ქვათაცვენის საშიში ზონები. გარემოს სხვა ფაქტორებთან ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ შემოსვანეთის ტყეების ექსპლუატაცია ხშირად მეტყვევობით მოთხოვნების უხეში დარღვევით წარმოებს და თუ რას მოიმოქმედებს ამ მხრივ ქართულ-ჩინური კერძო კომპანია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველა შემთხვევაში მიგვაჩინა, რომ მისი საქმიანობა ამ ტყეებს და, საერთოდ, ეკოლოგიურ წინასწარობას სიკეთეს არ მოუტანს.

დამაფიქრებელი კი ისაა, რომ ტყეების უდიერ ექსპლუატაციისა და სხვა არასწორი სამეურნეო ქმედებების გამო, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში, ბევრ ადგილას თითქმის მთლიანად მოიშალა მოსახლეობის საცხოვროსი, მოხდა მათი მიგრაცია, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი სოფლის გაუქმებაც კი მოჰყვა.

საკმაოდ მოიმატა ტყის უნებართვოდ გაჩეხვის ფაქტებმა. იმის დადგენაც კი ვერ ხერხდება, თუ უნებართვოდ ყოველწლიურად რამდენი ხეტყე იჭრება. გაანალიზებულ არაა თუ რა არის ტყის უნებართვოდ ჭრის ნამდვილი მიზეზები, დასახული არაა მათი აღკვეთის ქმედითი ღონისძიებები.

№ 106. ხუთშაბათი, 7 ივნისი, 2007 წელი.

გიორგი გიგაური, აკადემიკოსი; რევაზ ჩაბელიძე, პროფესორი; თეგვი ჯაფარიძე, პროფესორი.

„მევენახეობისათვის საუცხოო პირობებით ბუნებას უხვად დაუჯილ-
დობია ჩვენი მხარე: მზის სხივთა სიუხვე, ზღვასთან სიახლოვე და სხვა
გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით ჩვენი ქვეყანა არ ჩამორ-
ჩება არც ერთ რუსეთის მხარეს და თვით საფრანგეთსაც“



GOMI ELITE VODKA

სამი დღე ქართული ღვინოების „ტყვეობაში“

ჩიპჩული საქართველო...

ხელმწიფო საკუთრება იყო, ამავდროულად კი მოხდა მისი სრულ-
პრივილიზაცია და ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „რა-
ჭული ღვინო“.

ამჟამად ქარხანა ყოველწლი-
ურად ამუშავებს 300-500 ტონა
ყურძენს თავისი კუთვნილი
ვენახებიდან, ასევე ადგილობრივი
კერძო მევენახეებიდან შე-
ისყიდის ყურძენს. ადგილზევე
ხდება მისი დამუშავება, ღვინის
დამზადება და ჩამოსხმა. ყველა

შინაურ ღვინოებს, რომლებიც
ქველი, ტრადიციული მეთოდე-
ბით არის დამზადებული. ეს
ღვინოები, ქარხნული ღვინოე-
ბისგან განსხვავებით, არ გადი-
ან ფილტრაციას და სხვა ქიმი-
ურ დამუშავებას, აქედან გა-
მომდინარე, არ ექვემდებარე-
ბიან შენახვის ხანგრძლივ ვა-
დას. მათი შენახვის დროს შე-
საძლოა ბოთლში მცირედი
კრისტალები გაჩნდეს, რაც,
თუმცა, დასაშვებია და სავსე-
ბით ნორმალურია. სამაგიე-
როდ ასეთ ღვინოში მაქსიმალ-
ურად არის შენარჩუნებული
ღვინის ყველა სამკურნალო და
სასარგებლო თვისება. ყველა
კომპანიამ სათითაოდ საუბარ-
ი შორს წაგვიყვანა.

მონვეული სტუმრები შეხ-
ვედნენ მაღალკვალიფიციურ
ღვინის სპეციალისტებს, კონ-
სულტანტებს და თავადვე და-
აგემოვნეს წარმოდგენილი
პროდუქცია. ამ ღვინოების
ზე ერთი ახალი ინფორმაცი-
აც შევიტყვეთ: საქართველოს
სოფლის მეურნეობის სამი-
ნისტროს ინიციატივით საქ-
ართველოს ვაზისა და ღვი-
ნის დეპარტამენტის დაქვემ-
დებარებაში უახლოეს მომავ-
ალში სახელმწიფო სადე-
გუსტაციო კომპანია ჩამოყა-
ლიბდება. ეს კი უზრუნველ-
ყოფს GTS-ის მიერ სერტიფი-
ცირებული დეგუსტატორე-
ბის გადამზადებას და ამავ-
დროულად ახალი კანდიდა-
ტურების შერჩევას უცხოელი
და ადგილობრივი ექსპერტე-
ბის დახმარებით.

გამოფენა

თითქმის ასი წლის წინათ ნი-
კო ნიკოლაძე წერდა: „მევენა-
ხეობისათვის საუცხოო პირო-
ბებით ბუნებას უხვად დაუ-
ჯილდობია ჩვენი მხარე: მზის
სხივთა სიუხვე, ზღვასთან სი-
ახლოვე და სხვა გეოგრაფიუ-
ლი და ბუნებრივი პირობებით
ჩვენი ქვეყანა არ ჩამორჩება
არც ერთ რუსეთის მხარეს და
თვით საფრანგეთსაც“.

ჩვენს ქვეყანაში მევენახე-
ობა-მეღვინეობის განვითარე-
ბისათვის ადრეც ბევრი გაკეთ-
და და ამჟამად კიდევ უფრო მე-
ტი ძალისხმევა გვმართებს,
რათა ქართული ღვინით მსოფ-
ლიო დაინტერესდეს.

სწორედ ქართული ღვინის პო-
პულარიზაციას მიეძღვნა ღვინო-
სა და ალკოჰოლური სასმელების
პირველი საერთაშორისო გამო-
ფენა, რომელიც ამ დღეებში გა-
მდგომარეობს ცენტრში „ექსპო ჯორ-
ჯიას“ ტერიტორიაზე მეთერთმე-
ტე პავილიონში გაიმართა.



გამოფენაზე ქართული ღვი-
ნოების ნამდვილი ბუმი იყო.
დააგემოვნეთ ჩვენი ღვინო, გუ-
ლით გვთავაზობდნენ თავიანთ
პროდუქციას „ქმები ასკანელე-
ბის“ „ბადაგონის“, „თელაბის
ველის“, „ალაზნის ველის“ და
სხვა საწარმოთა წარმომადგენ-
ლები. ერთი ფაქტი – წლეულს
იტალიაში ქალაქ ვერონაში გა-
მართულ ღვინის საერთაშორისო
გამოფენაზე ქართული ღვი-
ნის კომპანია „ბადაგონი“ წლის
ალმონჩენად დასახელდა.

მომხმარებელს ხალისიანად
სთავაზობდა თავის ღვინოს შპს
„რაჭული ღვინის“ დირექტორი
ომარ ჭელიძე. მან გვითხრა,
რომ ჭრებულ ღვინის ქარხა-
ნა ერთ საუკუნეზე მეტია არ-
სებობს. 1995 წლამდე იგი სა-

ამ პროცედურისთვის საჭირო
მასალით (ტარა, ჩაჩი) ქარხანა
უმთავრესად საზღვარგარეთი-
დან მარაგდება.

შპს „რაჭული ღვინის“ მიერ
წარმოებული პროდუქცია იყი-
დება როგორც ადგილობრივ
ბაზარზე, ასევე საზღვარგა-
რეთ, კერძოდ რუსეთში, აშშ-ში,
იაპონიაში, ბალტიისპირეთში.
ქარხანაში ღვინო ჩამოსხმება
როგორც მინის, ასევე კერამი-
კულ ბოთლებში.

– ჩვენი სანარმო, – გვითხრა
ომარ ჭელიძემ, – ამზადებს არა
მარტო ტრადიციულ ღვინოებს,
არამედ ალადგენს ძველ, მი-
ვიწყებულ სახეობებს და, ამავ-
დროულად, ნერგავს ახალი
ღვინოების ჩამოსხმის ტექნო-
ლოგიებს. სანარმო ახლა უშ-

ღვინო „ხვანჭყარა“ ამშვენებდა
სუფრას.

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ
გასული საუკუნის 90-იანი წლე-
ბის ბოლოს ღვინო „ხვანჭყარა“
და „ალექსანდროული“ საქარ-
თველოს საელჩოს მეშვეობით,
არაკომერციული მიზნით ბრი-
ტანეთის სამეფოს კარს მიენო-
დებოდა.

რაჭულ ღვინოებს სხვადასხვა
საერთაშორისო კონკურსებზე მი-
ღებული აქვთ მრავალი ჯილდო
– ბრიუსელის 1907 წლის გრან-
პრი, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურ-
გის, სოჭის 2000 წლის „გრან-პრი“
და სხვა. შპს „რაჭული ღვინო“
უგემოიერეს პროდუქციას სთა-
ვარობს მომხმარებელს.

ორგანიზაცია „ელკანა“ დამ-
თვალეირებულს სთავაზობდა

პავილიონის 52 საგამოფენო
სტენდზე წარმოდგენილი იყო
70-ზე მეტი სხვადასხვა ორგა-
ნიზაცია თავიანთი პროდუქ-
ციით – ღვინო, შუშუნა ღვინო-
ები, სპირტიანი სასმელები, სა-
წარმოო დანადგარები, შესა-
ფუთი ტექნოლოგიები, ინგრე-
დიენტები, დანამატები, სასუქე-
ბი, ვაზისა და ვენახის მოვლის
ტექნიკა, ნერგები, მინის ტარა,
აქსესუარები და სხვა.

გამოფენის ორგანიზატორი
გახლდათ გამოფენების ცენტრი
„ექსპო ჯორჯიას“ და ექსპოზი-
ცია ჩატარდა თბილისის მერი-
ისა და საქართველოს სოფლის
მეურნეობის სამინისტროს ეგი-
დით. ამ ღვინოების მხარდაჭე-
რის გახლდათ გერმანიის ტექ-
ნიკური თანამშრომლობის
პროექტი GTS, ხოლო გამოფე-
ნის სპონსორები იყვნენ კომპა-
ნიები „კაპაროლი“ და „საბა“.
გამოფენაზე ადგილობრივი
კომპანიების გვერდით წარ-
მოდგენილი იყვნენ კომპანიები
აშშ-დან, გერმანიიდან, საფრან-
გეთიდან, იტალიიდან, მოლდა-
ვეთიდან, ესტონეთიდან, პორ-
ტუგალიიდან და რუსეთიდან.

გამოფენას ესტუმრა პრო-
ფესიონალ ვიზიტორთა ჯგუფი
სხვადასხვა ქვეყნიდან –
ექსპორტიორები, იმპორტი-
ორები, დილერები, ღვინის
საკითხზე მომუშავე ჟურნა-
ლისტები, სავაჭრო ასოცია-
ციების წარმომადგენლები
და სხვა.

ამ დღეებში ქართულმა
ღვინოებმა, არაყმა ექსპერ-
ტთა და ჩვეულებრივ დამთ-
ვალეირებელთა დიდი მო-
წონება დაიმსახურა, გა-
ფორმდა მრავალი საინტე-
რესო ხელშეკრულება, რაც
ჩვენი პროდუქციის უცხო-
ეთში გატანას და მის პოპუ-
ლარიზაციას ემსახურება.

ლალი ქინძლაძე

სიახლე

გამოგონებებისა და ინოვა-
ციების სფეროში მომუშავე
ქართველ სპეციალისტს ყო-
ველდღიურ საქმიანობაში ინ-
ფორმაციის საძიებო ლიტერა-
ტურის გამოყენება ესაჭირო-
ება, რაც დღემდე ხელმისაწე-
დომი მხოლოდ უცხოურ (ინგ-
ლისურ, ფრანგულ, გერმანულ,
რუსულ და სხვა) ენებზე იყო.

ქართულ ენაზე ითარგმნა და
გამოიცა კლასიფიკაციის ფუ-
ძემდებლური ნაწილი – 9 ტომი,
რომელშიც საერთაშორისო
კლასიფიკაციის ნაწილების,
კლასების, ქვეკლასებისა და ძი-
რითადი ჯგუფების ჩამონათვა-
ლია მოცემული. მკითხველს შე-
ვახსენებთ, რომ საერთაშორისო
საპატენტო კლასიფიკაცია
შეიცავს 10 ტომს, რომელთაგან
8 გამოგონებათა კლასების სა-
ძიებელია, ხოლო მე-9 და მე-10
ტომები – საერთაშორისო სა-
პატენტო კლასიფიკაციის გამო-
ყენების სპეციალური სახელმ-
ძღვანელობი.

კლასიფიკაცია, ცოდნის ნე-
ბისმიერ სფეროში, სისტემატი-
ზაციის საშუალებაა, რომელიც
საჭირო მასალების ინექსირე-
ბასა და შერჩევას აიოლებს. სა-

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია

პატენტო დოკუმენტაციის ინ-
დექსაციისთვის გამიზნულ
კლასიფიკაციებს, გამოგონება-
თა ან საპატენტო კლასიფიკაცი-
ებს უწოდებენ. ისინი ტექნიკუ-
რი ცნებების განაწილების მრავ-
ალსაფეხურიან ურთიერთდა-
კავშირებულ სისტემებს წარ-
მოადგენს, რომლის პრინციპია
– „ზოგადიდან კერძოსაკენ“.

საპატენტო კლასიფიკაციები
პირველად XIX საუკუნეში გერ-
მანიაში, დიდ ბრიტანეთსა და
აშშ-ში შეიქმნა, რაც ამ ქვეყნებ-
ში მეცნიერებისა და ტექნოლო-
გიების სწრაფ განვითარებას-
თან იყო დაკავშირებული. ცალ-
კუთ ქვეყანაში ტექნოლოგიუ-
რი განვითარების თავისებურე-
ბებმა, საპატენტო კანონებსა და
საპატენტო პრაქტიკაში არსე-
ბულმა განსხვავებებმა ეროვნუ-
ლი კლასიფიკაციების სტრუქტუ-
რისა და შინაარსის განსხვავება
განაპირობა.

გამოგონებების უნივერსა-
ლური კლასიფიკაციის შექმნის

მოთხოვნილება XX საუკუნეში
გაჩნდა, რაც ქვეყნებს შორის
საპატენტო დოკუმენტაციის
გაცვლის გაიოლების, საპატენ-
ტო ძიების საშუალების შექმნი-
ზაციის აუცილებლობით იყო
ნაკარნახევი.

საერთაშორისო
საპატენტო
კლასიფიკაცია
WORLD INDUSTRIAL PROPERTY
ORGANIZATION
საერთაშორისო
საპატენტო
კლასიფიკაცია
საერთაშორისო
საპატენტო
კლასიფიკაცია

ევროპის რამდენიმე სახელმ-
წიფოს შორის მოლაპარაკება-
თა შედეგად, საერთაშორისო სა-
პატენტო კლასიფიკაციის შექ-
მნა დაიწყო.

ტექნოლოგიების განვითარე-
ბის სპეციალური სახელმძღვა-
ნელოების შესაბამისად, საერ-
თაშორისო საპატენტო კლასი-
ფიკაციის გადასინჯვა მუდმი-
ვად მიმდინარეობს – კლასიფი-
კაცია ყოველ ხუთ წელიწადში
ახალი რედაქციით ქვეყნდება.

ეროვნულ ენებზე საერთაშო-
რისო საპატენტო კლასიფიკა-
ციის არსებობას უდიდესი რო-
ლი ენიჭება, იგი მხოლოდ სის-
ტემატიზაციის საშუალება რო-
დია – გამოიყენება, როგორც
ტექნიკური ტერმინოლოგიის
ლექსიკონი და ინტელექტუა-
ლური საკუთრების სფეროში
სამართლებრივ საკითხებსაც
არამგულთერებს.

ქართულ ენაზე კლასიფიკა-
ციის არსებობა ხელს შეუწყობს
საპატენტო-საძიებო საშუაო-

ების მაღალ დონეზე წარ-
მართვას და თანამედროვე
მოთხოვნების შესაბამისად,
ქართული ტექნიკური ტერ-
მინოლოგიის დამკვიდრებას
და განვითარებას.

ეს ახალი გამოცემა მეცნი-
ერებათა აკადემიის სპეცია-
ლისტების, ინტელექტუა-
ლური საკუთრების ეროვნუ-
ლი ცენტრის „საქპატენტ-
ტის“ თანამშრომლების და
არნოდდ ჩიქობავას სახე-
ლობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის ერთობლივი
შრომის შედეგია.

კლასიფიკაციის ქართულ
ენაზე გამოცემის პირველი
მცდელობა, ბუნებრივია, ბო-
ლომდე სრულყოფილი არ
იქნება – როგორც „საქპატენ-
ტის“ გენერალურმა დირექ-
ტორმა დავით გაბუნია აღ-
ნიშნა, ახალი წიგნის მესვეურ-
ები მადლიერებით მიიღე-
ბენ გა გაითვალისწინებენ
თარგმანისადმი გამოთქმულ
ყველა შენიშვნას, სურვილსა
და კეთილ რჩევას.

ლელა დონაძე



რუს წარმომადგენელი, რუს ავტორიტეტის მფარველი

მისივე სააკაშვილი დანაშაუდობათა ბაღდას ვერ გამოკლავება

საპარტიო-პოლიტიკური და მანაშავე-ობამ არნახულ მასშტაბს მი-აღწია. ასეთი რამ არ ყოფილა არც საბჭოთა ხელისუფლების წლებში და არც ედვარდ შე-ვარდნაძის მმართველობის დროს. ქართველების განსა-კუთრებულ შემფოთებას ინ-ვესტს ძალადობის ზრდა ახალ-გაზრდებს შორის. მარტო ბო-ლო ორი თვის განმავლობაში თბილისში მოკლეს შვიდი მო-ზარდი.

დამანაშავეები კლავენ ქვეყა-ნაში ცნობილ ადამიანებსაც. მაისის დამლეტის თბილისის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს აკადემი-კოსი გურამ შარაძე. ცხრა დღის შემდეგ კი თავის ოფის-ში წამების შედეგად გარდაიც-ვალა ყოფილი პარლამენტარი, ბიზნესმენი ზვიად ცეცხლაძე. იგი გაიგუდა, რადგან პირი და ცხვირი „სკოჩით“ ჰქონდა აკ-რული.

ასეთი რაოდენობის სისხ-ლისმღვრელი „საქმის გარჩევე-ბი“, რომელთა დროსაც ძალზე ხშირად იყენებენ ცეცხლსა-სროლ და ცივ იარაღს, საქარ-თველოში არ ახსოვთ 90-იანი წლების დამდეგის სამოქალა-

ქო ომის შემდეგ. მაგრამ მაშინ ერთმანეთს ხოცავდნენ უფროსე-ბი, ახლა კი დანაშაულს ყველაზე ხშირად ბავშვები სჩადიან.

აი, ბოლო კვირების საზარელი ქრონიკა. 16 აპრილს თბილისის ცენტრში ცეცხლსასროლი იარა-ღის გასროლით მოკლეს 15 წლის გრიგოლ მარტაშენკო - იგი 15 ტყვიით დაცხრილეს. მანამდე კი, ბოლისის რაიონში 14 წლის ფარ-ვინ ნოვრუზოვა მოკლა ორი კა-ცი - მათ შორის ერთ-ერთი თავ-ისი თანაკლასელი. 18 აპრილს ოზურგეთის რაიონში სამმა მე-ათეკლასელმა დანიტ მოკლა თა-ნაკლასელი გიორგი ფასიაშვილი. 7 მაისს თბილისში მოკლეს 17 წლის ნიკა ჩანქელიანი და დაჭ-რეს მისი უმცროსი ძმა. 12 მაისს იზოვეს დანიტ დაჩეხილი 14 წლის სალომე მამაცაშვილის ცხედარი. ოდნავ მოგვიანებით, 14 წლის ბექა მალაკელიძე გარდაიცვალა ასე-ვე ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად. 17 მაისს დედაქალაქში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს არასრულწ-ლოვანი ნიკა ბუსკანაძე.

და მთელი ამ დროის განმავლო-ბაში მაღალი თანადებობის ქარ-თველი სახელმწიფო მოხელეები რიგით მოქალაქეებს არწმუნებ-

დნენ, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა და დანაშა-ვეებს უთუოდ დასჯიდნენ. მათ მოჰყავდათ ასევე გარკვეული სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულო-ბათა გახსნის მაჩვენებელი მკვეთ-რად იზრდება.

სინამდვილეში კი: მართლაც რთულია ვერ გახსნა მკვლელობის საქმე, თუ დანაშაულები სარგებ-ლობენ თავიანთი მსხვერპლის მობილური ტელეფონით. თანაც, არც ქილერის დაკავებაა ძნელი, როცა იგი დანაშაულის ადგილი-დან მიმალვას ცდილობს... სამარ-შრუტო ტაქსით. როგორც ჩანს, სწორედ ამ „მიღწევებით“ ამა-ყობს კიდევ ხელისუფლებას.

მაგრამ, არის სხვა მონაცემები. სხვათა შორის, ოფიციალური. მარტო შარშან, როცა პრეზიდენ-ტმა სააკაშვილმა თბილისს მია-ნიჭა „სტაბილურობისა და სი-ნათლის ქალაქის“ საპატიო წო-დება, მის ქუჩებში მოხდა 18.209 დანაშაული. საქმე ეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაუ-ლებებს. აქედან გახსნილია მხო-ლოდ 16,8 პროცენტი. არადა, 2001 წელს, „დიქტატორ შევარდნაძეს“ მმართველობის პერიოდში, დე-დაქალაქში მოხდა მხოლოდ 2.473

მძიმე დანაშაული, გახსნის პრო-ცენტმა კი 84,1 პროცენტი შეად-გინა...

ახლა მთელ საქართველოს მო-ედო სტიქიური საპროტესტო აქ-ციები, რომელთა მონაწილეები - ბავშვები და უფროსები - მო-ითხოვენ ძალადობის აღკვეთას. სპეციალისტებს კი გაუჩნდათ ახალი თავსატეხი: რამ წარმოქ-მნა ასეთი აგრესია? სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ერთი ამბო-ბენ, რომ წამოიზარდნენ სამოქა-ლაქო ომის დროს დაბადებული ბავშვები, რაც აუცილებლად აისახებოდა მათ ფსიქიკაზე. მე-ორენი უმძიმესი ეკონომიკურ მდგომარეობას უჩივიან, მესამენი კი აცხადებენ, რომ საზოგადოე-ბაში აღარ დარჩა მორალური ღირებულებანი...

— დღევანდელ საქართველოში მოზარდები განსაკუთრებით აგ-რესიულები არიან იმის გამო, რომ მათთვის არ არსებობს ავ-ტორიტეტები, — მიანჩია ოპოზი-ციური „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელს გოჩა ჯოჯუას. — პრეზიდენტი სააკაშვილი ამ ბავშვებს არწმუნებს იმაში, რომ მათი მშობლები კორუმპირებუ-ლი, ჩამორჩენილი ადამიანები არიან, რომელთა აზრიც არ არის

აუცილებელი შვილებმა გაითვა-ლისწინონ. „მშობლები რალაცის გაკეთებას გიკრძალავენ? მე გრთავთ ამის ნებას, — ეუბნება მათ პრეზიდენტი.

4 ივნისს თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან გაიმართა მართლმად-იდებულ მშობელთა კავშირის მიერ ორგანიზებული საპროტეს-ტო აქცია. მათი აღშფოთება გა-მოიწვია სასკოლო განათების ერთ-ერთმა ნომერმა, რომელიც ეძღვნებოდა... სექსს. გაზეთის ყიდვა შეეძლო ყველას, თვით პირველკლასელსაც კი, მისი ფა-სი მხოლოდ ერთი ლარი იყო, თითქმის იმდენი, რამდენიც სკო-ლაში საუზმე ჯდება.

— ბათუმში მშენებარე ეკლესიის დანგრევიდან ზუსტად ერთი კვი-რის გასვლის შემდეგ ჩამოიქცა რაიონული ადმინისტრაციის შე-ნობა. ნანგრევებში მოჰყვა შვი-დი კაცი, — თქვა ერთ-ერთმა მო-პიკეტემ სახელად მზიამ. — ეს ცუ-დი, ავბედითი ნიშანია. საით მი-ვექანებით? მე ნამდვილად მემი-ნია მომავლის...

ალექსანდრა იაშვილი
ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

№ 106. სექტემბერი, 2007 წელი.

რუსეთის ფედერაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს ამწვავებს და ამ თვითღიარებულ რესპუბლიკებს უქმნის დამოუკიდებლობის ილუზიას



სის აზრით, „ამის შედეგია სოხუ-მის და ცხინვალის ხისტი პოზიცია და მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის გაჭინაზება“.

„რუსული მხარე ხედავს მხო-ლოდ იმას, რისი დანახვაც სურს, და არა — რეალურ სურათს. რე-ალობა კი ისეთია, რომ საქარ-თველოში არსებობს არა ეთნიკურ კონფლიქტები, როგორც ამას რუსული მხარე ამტკიცებს, არა-მედ ტერიტორიული კონფლიქ-ტები“, — აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარ-ში. ამასთან, საქართველოს საგა-რეო-პოლიტიკური უწყება აცხა-დებს, რომ „სეპარატისტების მი-ერ განხორციელებული ეთნიკურ ნმეზდის შედეგად დაახლოე-

ბით ნახევარ მილიონ ლტოლვილს აღარ აქვს აფხაზეთში დაბრუნე-ბის შესაძლებლობა“.

„მიგვაჩნია, რომ საქართველო და რუსეთი, როგორც ორი მეზო-ბელი სახელმწიფო, არ უნდა გახ-დნენ სეპარატისტული რეჟიმების ამბიციების მძევლები, რადგან ამ გზას ჩიხისკენ მივყავართ“, — აღ-ნიშნულია კომენტარში. დოკუმენ-ტში ასევე ხაზგასმულია, რომ კონ-ფლიქტების მოწესრიგების თემა არ უნდა გახდეს შორსგაშიზული სპეკულაციის საგანი. საქართვე-ლოს საგარეო საქმეთა სამინისტ-რომ მოუწოდა რუსეთის მხარეს სიფრთხილით მოეკიდოს ისეთი პოლიტიკური განცხადებების გა-კეთებას, რომლებმაც ხანგრძლივი პერსპექტივისთვის, შესაძლოა, ნე-გატიური შედეგები მოუტანონ თვით რუსეთის ფედერაციას.

განჩინება

გაკოტრების საქმის წარმოების ბაზსის შესახებ

31 მაისი 2007 წელი ქ. წყალტუბო

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლარი თაფორაძე ერთპიროვნულად განვიხილეთ ს/ს „მერცხალის“ დირექტორის განცხადება გააკოტრების საქმის წარმოების ბაზსის შესახებ

დავადგინეთ:

1. გახსნას გაკოტრების საქმის წარმოება ს/ს „მერ-ცხალის“ მიმართ 2007 წლის 31 მაისს, 12 საათზე.
2. ს/ს „მერცხალის“ გაკოტრების მმართველად და-ინიშნოს მიშა ახვლედიანი, დაბადებული 1957 წლის 20 თებერვალს, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლე-ბით, პროფესიით ინჟინერი, ეკონომისტი, მცხოვრები ქ. ქუთაისი, დია ჩიანელის ქუჩა, მესამე შესახვევი №1.
3. მოვალეს ს/ს „მერცხალის“ აკრძალოს თავისი ქო-ნების მართვა, განკარგვა და აღნიშნული უფლების განხორციელება გადაეცეს ს/ს „მერცხალის“ გაკოტ-რების მმართველს.

4. ს/ს „მერცხალის“ კრედიტორებს დაევალოთ 2007 წლის 1 ივლისამდე, წარუდგინონ წყალტუბოს რა-იონულ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები ს/ს „მერცხალის“ მიმართ შესაბამის ვალუტაში თანხი-სა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ეცნობოთ ს/ს „მერცხალის“ კრედიტორებს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნე-ბის გაუთვალისწინებლად.

5. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუ-ვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, 2007 წლის 1 ივლისამდე განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.

6. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალ-დებულებას მოვალის მიმართ რაიმე შესრულებაზე, აკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულე-ბის შესრულება მოვალის მიმართ და დაევალოს შეს-რულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

7. მოწვეულ იქნას ს/ს „მერცხალის“ კრედიტორ-თა პირველი კრება 2007 წლის 1 ივლისს 12 საათზე, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენობაში, მი-სამართლე: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №1.

8. სასამართლოს მიერ ს/ს „მერცხალის“ კრედი-ტორთა მოთხოვნების შემონგების მიზნით 2007 წლის 4 ივლისს 12 საათზე, მოწვეულ იქნას კრედიტორთა

კრება წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენო-ბაში, მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №31.

9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დანებუ-ლი, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულე-ბის დონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარ-მოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სა-სამართლოს.

10. ამ განჩინების ასლები გადაეგზავნოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც ს/ს „მერცხალის“ აქვს საქმიანი ურთიერთობა, ხოლო აღნიშნული უზრუნველყო-ვა დაევალოს ს/ს „მერცხალის“ გაკოტრების მმარ-თველს.

11. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ადგილობრივ გაზეთში.

12. განჩინების ასლები გადაეგზავნოს: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურს, კავ-შირგაბმულობის წყალტუბოს განყოფილებას, ქუთა-ისის საგანგებო ინსპექციას, სამწარმოო რეესტრს.

13. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტა-ნა ამავე სასამართლოში 12 დღის ვადაში მისი გამოქ-ვეყნებიდან.

სულიერება

თითოეულ ჩვენგანში ჰყავს ნათელი!



დღეს, XXI საუკუნეში, ადამიანისთვის უძველესი სიბრძნის საიდუმლოებები იმდენად...

მეორე ღვთისმშობლის ხატებს, ან როგორ გამოჩნდა ეკლესიების, სახლების...

და მარიამი მუდამ მოუწოდებდა მთელს კაცობრიობას (განსაკუთრებით კი დღეს, როცა მძვინვარებს სისხლისმღვრელი...

მოფხვრას თქვენს აზრებში, რაც მხოლოდ უფლისკენ უნდა იყოს მიპყრობილი.

ნათამალიც იმაში, რომ ღვთისმშობელი, რომელიც 2000 წელზე მეტი ხნის წინ...

მარიამის გამოცხადებათა მნიშვნელობა ამბობენ, რომ მსოფლიოში ცხოვრება შეიცვლება...

თავისი ღვთიური ხატის მეშვეობით გზავნილი წმინდა მარიამმა გაანდო იმ ადამიანებს...

ნეტა, ყველასთვის გასაგები იყოს ღვთის კანონები! ხომ შეუძლებელია, მიაყნოს ვინმეს ზიანი ისე...

თითოეულ ჩვენგანში კიაფოს უფლის ნათელი! მაშ, მოგვეცეს ღმერთმა იმის ძალა, რომ მსურვალე ღვთისა და გულწრფელი მონანიებით მივმართოთ...

დალო აბულაძე

შენწყალება

აღარ მეგობრობენ...

ამჟამად დახურული ტელეკომპანია 202-ის ყოფილი დირექტორის შალვა რამიშვილის გახმაურებულ ამბავთან დაკავშირებით დაკავებული და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა...

კეთა. იგი ყოველივეს იმითი ხსნის, რომ იგი მართლაც დამნაშავე იყო, რადგანაც პროვოკაციის მოწყობის მომენტში იქ აღმოჩნდა...

საბანკო საქმე



ინფორმაცია ბარათელი შარაძის მკვლელობას შარაძის გურამ შარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიორგი ბარათელი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას უარყოფს...

ქართული ბანკების ჩინსვლა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ყველაზე კაპიტალიზებული ბანკთა რიცხვში, რუსეთში უფრო გამოცემის „კომერსანტის“ დაკვეთით ბოლო დროს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით...

კონკრეტულად რომ ვთქვათ, კაპიტალის წილმა მის აქტივებში 30,6 მილიონი, მთლიანად აქტივების მოცულობამ 178,8 მილიონი, მოცულობა აქტივებმა კი 54,8 მილიონი დოლარი შეადგინა.

უნდა შევეგუოთ იმ ფაქტსაც, რომ ვიდრე ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მთავრობის თოჯინა იქნება, ჩვენს გუნდებს იმედგაცრუება ელით



მარიკნული ბიზნისი

ორბიტაზე

ყველამ როდი მოიწონა



გაშინ შემოგთავაზეთ 2012 წლის ზაფხული ოლიმპიური თამაშების, რომელიც ლონდონში უნდა გამართოს, ოფიციალური ემბლემა. ის ორგანიზატორებს 400 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. თუმცა მისი დახმარებით 600 მილიონის ამოღებას ვარაუდობენ.

ახალი ემბლემა მოიწონა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, ლონდონის მერმა კენ ლივინგსტონმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ და ბევრმა სხვა პოლიტიკურმა თუ სპორტულმა მოღვაწემ.

ამავე დროს, პირველსავე დღეს ემბლემა გააკრიტიკეს როგორც ბრიტანელმა, ისე მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

გამოკითხულ ლონდონელთა დაახლოებით 80 პროცენტმა განაცხადა, რომ ოლიმპიადის ახალი ლოგოტიპი არ მოსწონს, ბევრი მას სვასტიკას ადარებს და ამბობს, რომ ლონდონთან არავითარი კავშირი არ ჩანს.

გავა შარაპოვა ფინალში?

ძალთმსოფლიო ჩოგბურთის ლამაზმანს მარია შარაპოვას „როლან გაროსის“ მეოთხედფინალში მაინც და მაინც ნაავადმყოფარი ანა ჩაკვეტაძე დაუპირისპირდა და, თუმცა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაინც ვერ შეძლო „მრავალჭირგადახდილი“ მარიას ძლევა - 3:4, 4:6. ასე რომ, შარაპოვამ, რუსეთელ ჩოგბურთელთა შორის პირველმა, მოახერხა, „დიდი მუზარადის“ ყველა ტურნირის ნახევარფინალში გასვლა, ახლა მას სერბ ანა ივანოვიჩთან ორთაბრძოლა ელის, რომელმაც, თავის მხრივ, სვეტლანა კუზნეცოვა გამოთიშა გათამაშებიდან - 6:1, 3:6, 6:1.

ორ სხვა მეოთხედფინალში წლეულს ძალზე წარმატებით მოთამაშე მეორე სერბმა ელენა იანკოვიჩმა ჩეხ ნიკოლ ვაიდიშოვას გადაუკეტა ნახევარფინალის კენგა, ხოლო ამჟამინდელმა პირველმა ჩოგბურთელმა ჟიუსტენ ენენმა „უსაქმოდ“ დატოვა ამერიკელი სერენა უილიამსი.

ასე რომ, დღეს ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან: შარაპოვა - ივანოვიჩი, ენენი - იანკოვიჩი.



ფეხბურთი

შედეგებიც იქნება, მაგრამ როდის?

მაინც, ეს რა ღვთის რისხვა დაატყდა თავს ქართულ ფეხბურთს - „ჯვაროსნები“ თითქოს ყველასთან იბრძვიან, შიგადაშიგ ტაქტიკურ განსწავლულობასაც ამჟღავნებენ, მაგრამ რად გინდა - ნაგება ნაგებას მოსდევს.

საერთო სურათზე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ხვედრიც აისახა -

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე პეტარ სეგრტის განვრთნილი ბიჭები, ერთი შეხედვით, ტოლ-სწორად ეომნენ ესპანელ თანატოლებს, არც თავი დაუზოგავთ და არც მეტოქე, მაგრამ მაინც დამარცხდნენ - 0:1. რას იზამ, სტუმართა უფრო მაღალი საშემსრულებლო დონე გადამწყვეტი აღმოჩნდა. ალბათ, უნდა


შევეგუოთ იმ ფაქტსაც, რომ ვიდრე ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მთავრობის თოჯინა იქნება, ჩვენს გუნდებს იმედგაცრუება ელით - ისინი სახადს იხდიან.

ჰო, მართლა, სეგრტის „იალიშვიც“ უნდა ითქვას, რომელმაც მინდორზე ბარაბაძისა და ყენიას შეყვანა დაავიანა.

რაზმი

მოგაბით დაიფყავს

წლეულს შემოდგომაზე საფრანგეთი მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლებს. 20 რჩეულ ნაკრებს შორის ბორჯღალოსნებიც არიან. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მონაწილეები ემზადებიან ქართველი ათლეტები. ამჟამად ისინი რუმინეთში იმყოფებიან და LRB-ის ერთა თასის გათამაშებაში მონაწილეობენ. მთავარი პრიზისთვის 6 გუნდი იბრძვის.



საქართველოს ნაკრებს პირველი შეხვედრა ნამიბიასთან ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი მსოფლიო თასზე ჩვენთან ერთად გამოვა D ჯგუფში, ამიტომ მასთან პაექრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვადასხვა მიზეზით, საქართველოს ნაკრებს 10 ნამყვანი მოთამაშე აკლდა. ამის მიუხედავად, ბორჯღალოსნებმა მეტოქეს აჯობეს და 28:16 მოუგეს.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: არგენტინა A - იტალია A 27:20, რუმინეთი - სამხრეთ აფრიკა A 7:61.

10 ივნისს საქართველოს ნაკრები სამხრეთაფრიკელებს დაუპირისპირდება, არგენტინა - ნამიბიას, რუმინეთი - იტალიას.

16 ივნისს ითამაშებენ: საქართველო - იტალია A, სამხრეთ აფრიკა A - არგენტინა A, რუმინეთი - ნამიბია.

პირველი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1. ს. აფრიკა A	1	1	0	0	+54	5
2. საქართველო	1	1	0	0	+8	4
3. არგენტინა A	1	1	0	0	+7	4
4. იტალია A	1	0	0	1	-7	1
5. ნამიბია	1	0	0	1	-8	0
6. რუმინეთი	1	0	0	1	-54	0

იცოდით?

ვარსკვლავთა კაპრიზები

ცნობილია, რომ სახელგანთქმული სპორტსმენები თავისებური ახირებულობითაც გამოირჩევიან. მაგალითად მოვიყვანო მსოფლიო ჩოგბურთის ამერიკელ შავკანიან ვარსკვლავს სერენა უილიამსს. მისი ჩვევა, კორტზე საბრძოლველად გამოსვლის წინ თეთრკანიან მამაკაცთან „ნებივრობა“.

ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა გადარეული იყო წყლის პროცედურებზე. მატჩის დღეს, ექიმების აკრძალვის მიუხედავად, აუცილებლად ღებულობდა ძალზე ცხელ აბაზანებს.

ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი ტიმ გრინი კი თამაშის წინ აუცილებლად იზუპირებდა სისხლის სამართლის კოდექსის ერთ მუხლს მაინც. ლეგენდარული კუბელი სიმალღებე მხტომელი ჰავიერ სოტომაიორი უმნიშვნელოვანესი სტარტის წინ ტიროდა, საკუთარ თავს სარკეში რომ უყურებდა. ფეხბურთელები კი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მინდორზე მარცხენა ფეხით შესვლას.

სპორტსმენები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნომრებს მათ მისურებზე. მაგალითად, ლეგენდარულ პელეს მიაჩნდა, რომ „ათიანი“ მისთვის წარმატება მოჰქონდა.

ალბათ შედარებით ხანდაზმულთა ასოვით - 1974 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პოლანდიისა და გერმანიის ნაკრებები. პოლანდიელთა ვარსკვლავი კრუიფი 14 ნომრით თამაშობდა, გერმანიის ნაკრებში კი ფორვარდმა გერდ მიულერმა, ცრურწმენის მიუხედავად, 13 ნომერი აირჩია. მატჩის პირველსავე წუთზე კრუიფმა მეტოქეებს პენალტი „გამოსტყუა“ და პოლანდიელები წინ გაიჭრნენ. მაგრამ გერმანელებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი სწორედ „თარსნომ-

რიანმა“ მიულერმა გამარჯვების გოლი გაიტანა. ასევე ამ თარს ნომერს ირჩევს თავისთვის ლონდონის „ჩელსისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მიხაელ ბალაკიც.

სურათში: ახლო წარსულის ფრანგთა თილისმა: ლორან ბლანი მატჩის წინ ფაბიენ ბარტეზის ხოტორა თავს ეამბორობა.



ოქაანის გაღვა

ფული ამურად გაინაწილეს

ჩიკაგოში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი 100 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქართველი დიდოსტატები - ზვიად იზორია და მერაბ გაგუნაშვილი, რომლებმაც შვიდი შესაძლებელიდან 5,5-5,5 ქულა მო-

აგროვეს და, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს. 6 ქულით პირველი ადგილი შვეიცარიელმა ვადიმ მილოვამ დაიკავა.

იზორია და გაგუნაშვილი ახლა ფილადელფიის ტურნირში ჩაებმებიან.

● გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის მილოცვას უერთებს ამ საიუბილეო მრავალხმიანობას და კვლავაც ხანგრძლივ და ნაყოფიერ მწერლურ და ჟურნალისტურ ღვაწლს უსურვებს ძვირფას გივის



ღვაწლი

რუსთავ-ქალაქის მეისტორიე

პიპი ჯახუა - 75

დაბადებიდან 75 წელი უსრულდა ცნობილ ქართველ მწერალსა და ჟურნალისტს, „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტს ქ. რუსთავში პიპი ჯახუას.

მისი დებიუტი სამწერლო ასპარეზზე 1956 წელს შედგა, როდესაც პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობს ენევა. მისი მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურულ-კრი-

ტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მისი პროზაული კრებულები: „ნათია“, „ოდოია“, „გრძელი დღე“, „ხალხთა მეგობრები“, „ცხენი თუ მოგიპარავს?“ მკითხველის ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებში შესულ ნაწარმოებებს, უპირველეს ყოვლისა, გამოარჩევს მწერლური ნიჭიერება, თემის შერჩევისა და სიუჟეტის გაშლის უნარი, თხრობის სიძინჯე, დიალოგების ბუნებრიობა, თავანვარა ქართული.

მისი წიგნები ნათარგმნია რუსულ და იტალიურ ენებზე.

გივი ჯახუას პუბლიცისტული პატიოსანი, ქვეყნის ბედზე ღრმად ჩაფიქრებული პატრიოტის ნაზრევია, რომლის გულსაც უამრავი ნაწიბური ამჩნევია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი საზოგადოებრივი საქმიანობა მთლიანად რუსთავს - ქართველ მეტალოურგთა ქალაქს დაუკავშირდა, რომლის წინსვლასა და წარმატებებსაც არაერთი ათწლეული შეაღწია. სადაც კი უმუშავია, გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორად, ქვემო ქართლში საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მთავარ კორესპონდენტად, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადო-

ების თავმჯდომარედ, მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ თავმჯდომარედ თუ გაზეთ „სამშვილდეს“ მთავარ რედაქტორად, ახლა კი „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტად, ყველგან მშობლიური ქალაქის, მშობლიური კუთხის აღორძინებას ემსახურებოდა და ემსახურება მხურვალე გულითა და უღალატო კაცობით. იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირმა გივი ჯახუას მისალმება გაუზავნა.

„ბატონო გივი!“ საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ

წევრს, ჩინებულ პროზაიკოსს, მოქალაქეს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

ჩვენ გიცნობთ, როგორც დარბაისელს, სიკეთით სავსეს, სათნო და ამავე დროს პრინციპულ პიროვნებას.

ჩვენს უღალატო ძმასა და კოლეგას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, - ნათქვამია მისალმებაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის მილოცვას უერთებს ამ საიუბილეო მრავალხმიანობას და კვლავაც ხანგრძლივ და ნაყოფიერ მწერლურ და ჟურნალისტურ ღვაწლს უსურვებს ძვირფას გივის.

იუმორისტული ნოველა

პირველ სიყვარულს ნულარ მკითხავთ, ენგურისპირელ ჩაუქს. გაზაფხულის თქეშა წვიმისას ჩემი სიყრმის მდინარე რომ მიასკდება დედამოკის კლდოვან ვირბოებს და ღვარცოფად შეემსხვრება, ისიც მონაცხობს მასთან.

მეორე სიყვარული უკვე აბაშის წყალს დაემსგავსა. იმანაც იცის მომდოვრება. კი, სხეულისა და სულის შენაკადები შეავსებენ, მაგრამ და მანაც ჩემი მდინარეა, სიყრმესავით ბობოქრობს. მერე და მერე ტრფობაც მიღეულ მთვარესავითაა. თითქოსდა ნაპარევი შუქით გვინათებს, აიფოვრება კიდევაც, გაიბრწყინებს, ზოგჯერ თავსაც დაგაკარგვინებს.

სულ სხვა სიყვარული უკანასკნელიო, - ბრძანა პოეტმა

საოცარია, ახლაც არ ვიცი, რა იყო ეს, რამ გადამრია, მაგრამ მე რომ მაშინ ვიგიჟე? ისე კი, ერთ ჩინელ ბრძენს თუ და-

ბინად ვებუღრაობ თევშებში, რომ გაგიჟებული თვალეები მოვთოკო, მოვათვინიერო და დავშოშმინდე როგორმე, მაგრამ გაგიგონია?! გადარეულებმა ისე გაუტიეს...

ცისფერ ეკრანზე ნანახი მაინც სხვაა, ეს მართლაც ზღაპრული ფერია ისე ამოძრავებს თავის ნაზ, ნატიფ თითებსა და ხელის მტევენებს, ისე იღერებს ყელს, ლამის სუნთქვას შემეკრას. თან გვერდით მჯდომ ვიღაც მაიმახს შეჭლიმის. ის კი მისკენ არც იხედება. მე კი ლამის ვნებამ დამფერვლოს.

- ეგ კაცი ვინლა? - ვეკითხები თანამესუფრეს და თან ვიბოლმები, საკუთარი ტყავიდან ამოძვრამას ვლამობ. ქმარიო, რომ მითხრა, მაშინ კი საბოლოოდ გავცოვდი, ღმერთი არ არსებობს...

- ძველია, მიკვირს, როგორ მოხდა, რომ ერთად არიან, არადა...

წილი თვალეების გადაკვიდეს, რაღას მაკითხებ-მეთქი, კი დავაპირე თქმა, მაგრამ ამ დროს მოხდა სასწაული. ჩემმა გახელბულმა მზერამ ერთბაშად დაიჭირა ქალის უნებლიე გამოხედვა. ის შეკრთა. რაღაც წამები გაგრძელდა ეს იდუმალი დუელი. მგონი გამიღიმა კიდევ.

ქალმა თავი დახარა, ცოტახანს იყუჩა, მერე ამაყად წამოდა, გასასვლელს მიაშურა და, სანამ კარს მოეფარებოდა, ერთხელ კიდევ შემომხედა.

საქმე გაგიჩარხეთ, ახლა შენ იცი, მიბიძგეს თვალეებმა და ვინ იცის, ეგებ ესაა ერთი ნახვით მოპარული ჩემი ბოლო სიყვარული, ჩემი თვალეების უკანასკნელი ნადავლი.

- საყვარელო, - სერიანებიდან სხვა ვერაფერი დავიმახსოვრე, - რაღაც გული მაქვს ცუდად. ჰაერს არ მყოფნის, ცოტას გავლილი და მალე დავბრუნდები, მეუღლეს ოსტატურად დავესხლტი და იქაურობა დავტოვე.

შელამება შემოპარულა. ცად ანვართულ, ბინდში ატყორცნილ კიპარისების რიგს ნელი ნაბიჯით შევუყვივი, ლამპონებზე აციმციმდა. მსუყე უანგბადი ხარბად ჩავისუნთქე, გულს შევუძახე გამაგრდი-მეთქი და თან მზერა ქურდულად მიმოვატარე ხეთა ჩრდილებში. ალბათ, სადმე ახლოს მიცდის, მრუმე ჩრდილში მინახული. მდებარეობა იციან, სად და როგორ. არც შევძვარვარ, მალე ნაოცნებარი, აქარებული ნაბიჯები აგურის ფხვნილით მოკირწყულზე გაიბნა.

- ახლა ხომ უკეთ ხარ, ძვირფასო? - ხმა კი იყო რბილი, ნაზი და თუმცა ყინულ შეპარვით ნალერსები, მაგრამ მენის ტოლფასი. მეგონა, ფეხქვეშ მინა გამომეცადა და კიდევ ერთხელ შევბარბაცდი.

- კი, ჰო, ჰო, იქ ძალიან ცხელია, ხომ იცი, დახუთულ ჰაერს ვერ ვიტან.

- რაღაც ავად გივლავს თვალეები, სიცხე ხომ არ გაქვს, საყვარელო? - წარბებშეკრული მეუღლე შუბლზე ხელით ტემპერატურას მისინჯავს, მერე მოლიავებულ პალსტუსს ეპოტინება, ვითომ მზრუნველად მისწორებს და „აპუერებს“ ისე მაგრამ მიჭერს, სუნთქვა მეკვირს.

ჩვენს ირგვლივ უკვე სუფრიდან წამოშლილი შეზარხოშებული ადამიანები ტრიალებდნენ. ხანდახან რა მძაფრად გვახსენებს თავს გაფრენილი სიყმანვილე. გეჩვენება, ისევე ის არწივი ხარ, ცის კაბადონზე რომ დაბუნიობს. მართალი უთქვამთ, გული არ ბერდებაო.

ისე კი, ჩვენში დარჩეს და თუ ლამაზმანთან შეფეთებაზე თვალეები არ გიგიჟდებიან, შენი საქმე ცუდად ყოფილა.

გივი ჯახუა

ინფორმაცია

საბუთებს აყალბებდნენ

ქბსპის რაიონის სოციალური დაზღვევისა და ვეტერანთა რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირების საბუთების გაყალბებაში ამხილეს.

როგორც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე ჟანდაცივის მინისტრის მოადგილე დავით მესხიშვილმა განაცხადა, წლების განმავლობაში საბუთების გაყალბების საფუძველზე გარკვეულ პირებს ომის ვეტერანებთან გათანაბრებული სტატუსი ენიჭებოდათ, რომლის საფუძველზეც თითოეული მათგანი ყოველთვიურად 129 ლარამდე პენსიას იღებდა.

მესხიშვილის თქმით, ამ ეტაპზე 112 გაყალბებული დოკუმენტია გამოვლენილი. სამართალი დამცავები კი 800 საქმეს სწავლობენ, რომლებიც საგარეო დოკუმენტებისაა.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული საქმეები სასამართლოს გადაეცემა და გამოიციხული არ არის, იმ პირებს, რომლებიც გაყალბებული საბუთებით პენსიებს იღებდნენ, ბიუჯეტის სასარგებლოდ, თანხების დაბრუნება მოუხდეთ.

ინტერპრესნიუსი

„ბლოკ ჯორჯია“ საავადმყოფოებს ყიდულობს

კომპანია „ბლოკ ჯორჯია“ კიდევ რამდენიმე საავადმყოფოს შენობა იყიდვ. ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, სს „აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“, შპს „თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფოს“, შპს „თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის“, შპს „თბილისის №5 სამშობიარო სახლის“ და შპს „რადიოლოგიის ცენტრის“ შენობების მფლობელი „ბლოკი ჯორჯია“ ხდება.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველიაძემ განმარტა, აღნიშნული ობიექტების ნაცვლად „ბლოკი ჯორჯია“ ვალდებული იქნება, რომ სანაშონში 190-სანოლიანი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფო ააშენოს.

XI-2008-260

განცხადება

2007 წლის 27 ივნისს 16 საათზე ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი №14-ში შედგება სააქციო საზოგადოება „თბილმრეწველნი-3“-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. კონების გასხვისების შესახებ.
სს „თაილმრეწველნი-3“-ის სამეთვალყურეო საბჭო

თვალეების სიგისე

ვუჯერებთ, რომლის სახელიც დიდად პატივცემულმა სკლეროზმა ამაფცქვნა, სიყვარულს ყველა ასაკში შეუძლია აფეთქება, თუკი... იმ თუკის უკან რა იდუმალეობაცაა, იმაზე სხვა დროს, მაგრამ ის ბრძენთაბრძენი იმასაც ამბობს, მამაკაცი სულით ყოველთვის მარტოხელა მონადირეაო.

იმ დღეს ერთ ახლობელს ვაცვილებდით ზეციურ საქართველოში. რას იზამ, ბუნების წეს-კანონია და მეც, მეუღლესთან ერთად, უკანასკნელი პატივი მივაგე. ცრემლებმაც გზა დაუნამეს, გულშიც კიდევ ერთმა სიცარიელემ დაისადგურა. მერე კი მოვიქვალეხე, რაც დიდად არასოდეს მეპოტნავება, მაგრამ ცოლი შემომიჩნდა, ჭირისუფალს თვალეებში როგორ შევხედოთო. ძმაცაცმაც მხარი აუბა, შენი დაპატივება მე დამავალეს და ფეხსაც ვერსად გაადგამო.

სუფრასთან აღმოვაჩინე, მგელივით მომშინვოდა. მერედა, პურ-მარილს არ იკითხავთ, ისიც ამ სიდუხჭირეში დალხენილი დროის ქორწილიც არ მახსენდება ხორაგ-სანოვავით ასე დახუნძლულ-აყვავებული. ჩემს წინ მეზობელ სუფრაზე ქალი იჯდა. ელდანაკრავი შევბარბაცდი კიდევაც და გონზე მოსასვლელად, ეგრევე ვალენე ქიქა ჩემს დაფრენილ ხახას. ქალი თითქოს ნაცნობი იყო, სადაც ვენახა. ამაოდ ვიმტვირთე თავი და მეხსიერების საჭურჭლეს რომ ვერაფერი დავცინცლე, მეგობარს ჩავჩურჩულე, მიშველე-მეთქი.

- შე კაცო, ეს ხომ ცნობილი მსახიობია, ცეკვის ჯადოქარი, - კი შევფუცხუნდი, სახელიც რომ გამომიცხადა, თან ვნე-

- მერედა, მაგ ახვარმა არ იცის, ასეთ ძვირფას საგანძურს მეცხვარის ნაგაზივით რომ უნდა უდარაჯოს, თორემ სხვა ჩაანყობს თავს განძს.

- მაგას რომ უყურებ, მან ყველაფერი იცის და კარგი დედის შვილია, რამე გაბედონ.

- თუ იცის და ცოტა ჩვენც გვეკითხონ, - უმალ დაიქადა ჩემმა თვალეებმა.

ქალი კი, მისი სილამაზე მამაკაცთა მარტო თვალეებს კი არა, ასევე გულეებსაც დაუნდობლად იპარავს და უყოყმანოდ სწირავს სიყვარულის ღმერთებს. ამასობაში ჩემი თვალეები გახელბებით დაჭენობენ, ლამის საბუდრები დააცარიელონ და საერთოდ, პატრონად თუ ღა მთვლიან ნეტავ?

- ხომ არ გავინყვებდა, ჭირის სუფრაზე რომ იმყოფები, ვაუბატონო? - მსუბუქად ჩამსისინა ყურში მეუღლემ. უცებ ვიგრძენი, როგორ ჩააღწია მისმა საგულდაგულოდ დაქლიბულმა ფრჩხილებმა მარცხენა ბარძაყის ძვლებამდე და ტანში გამცრა.

ახლა კი მოვიუკუნტე. მივხვდი, საქმე ძალიან ცუდად იყო, მაგრამ თვალეები, ვითომც არაფერიო, კიდევ უფრო გაგიჟდნენ.

ამასობაში ის მაიმახს ადგა, ქალს ზედაც არ შეხედა, ისე დატოვა იქაურობა.

- ხომ გითხარი, - მიჩურჩულა მეგობარმა, - ცოლს არაფრად აგდებს, ქალს კი გაგიჟებით უყვარს. ისე კი გონს მოდი, გვერდით მეუღლე რომ გიზის, ნუ დაგავინყვებდა!

ამ ყაჩაღების, ღვთის პირად გაგარდ-

უნდა გენახათ, რა გაბადრული სახით გვიჩვენებდა ხოლმე რომელიმე ჟურნალში ან გაზეთში დაბეჭდილ თავის ახალ ლექსს (ლექსებს), თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნუგზარს მაინცდამაინც არ სწყალობდა იმდროინდელი პერიოდიკა, იცოდნენ, რა „ჩამოსხმის“ კაციც იყო და რაც მის ნაკალმარში ზედმიწევნით ირეკლებოდა

© ძვირფასი სილუეტები

ამ ოცდაათი წლის წინათ სი-ცოცხლე დულდა და გადმო-დულდა სოლოლაკში, ყოფილი კიროვის ქუჩის ბოლოს მდებარე „მსახიობის სახლში“ (რა სჯობს, თუ დღესაც ასეა), სადაც ხანმოთუფლი თეატრალეები თუ ახალგაზრდები ქართული თეატრის ისტორიას ემსახურებოდნენ. იქ გავეიცანი ნუგზარ კობერიძეც – ახალგაზრდა პოეტი, გულანთებული ქართველი დისიდენტი, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, დოდორ ცხილაძის თანამოაზრე და მეგობარი, მრავალჯერ დაპატიმ-

და თავის სამშობლოს, ამას გრძობდა. ჩემ გვერდით იმ წლებში იყვნენ შესანიშნავი ეკონომისტები (ზოგიერთი „ეროვნული“ ლიდერი, „ნითელ“ ეკონომისტებს რომ ეძახდა), ზნეობით სავსე და, რომ იტყვიან, ტვინით გატენილი ადამიანები (მათი გვარ-სახელები ცნობილია მთელი საქართველოსთვის), რომელთა ცხოვრების დევიზი იყო, – ჯერ ქვეყანას და მერე მე, და რომლებსაც მრავალი შეურაცხყოფა მიუღიათ პარტიებამ და დაყოფილი ქართველებისგან და ეგრეთ წოდებული პო-

მომცემლობა „მერნის“ ხელშეწყობით ნუგზარ კობერიძეს, ბოლოსდაბოლოს, კარგა სქელტანიანი პოეტური კრებული „ჩემი საუკუნე“ გამოუცია და ამით თითქოს შეუჯამებია რამდენიმე ათეული წლის ნაშრომ-ნაღვანი. აი, რას ამბობს, ამ წიგნის შესახებ თავად ავტორი: „ეს წიგნი ჩემი სიცოცხლის ყველაზე მშვენიერი ნაყოფია, ტრაგიკული საუკუნის ნაყოფი. ეს ჩემს ხალხს ეკუთვნის, ხალხს, რომელიც მიყვარს“.

პოეტის საუკუნე

რებას გადარჩენილი, „მსახიობის სახლის“ მომცრო ბაღში, ლექსის სტრიქონებით რომ გვიმხელდა თავისი გულის ხეა-შიადას.



ლიტიკოსებისგან... აბა, ახლა ჰყავთ მაგარ-მაგარი ეკონომისტები, თუ ჰყავთ!.. ამათი ცხოვრების დევი-

დაბრძენებული, ხანშიშესული კაცის პორტრეტი ასრულებს ამ დიდად საინტერესო კრებულს. რა მისცა, რა აგრძობინა, რა გზებით ატარა ცხოვრებამ პოეტი? მოდი, წიგნი გადავშალოთ.

ნუგზარ კობერიძე



ზიც საყოველთაოდ ცნობილია – ჯერ მე და მერე ქვეყანას!..

საზოგადოებრივი ცხოვრების გათავისება, ეროვნულ საქმეთათვის შემართება ნუგზარ კობერიძის ცხოვრების წესია. ზოგმა რომ პარლამენტარობით ისარგებლა (სარგებლობს) და ცხოვრება მოიწყო, ნუგზარმა ერთი ნორმალური სრულყოფილი ლექსების კრებულის გამოცემაც ვერ მოახერხა, არადა, მისი შემოქმედება სწორედაც ღირსია, რომ მეტი და მეტი პოეზიის მოყვარული იცნობდეს. დღეს, როდესაც ყველაფერმა ფასი დაკარგა, ლექსის წერაც, თითქოს, ადვილი გახდა, განსაკუთრებით კი მისი დაბეჭდვა, ნუგზარის პოეტური სტრიქონები, დიხაც რომ გამოჩვენდეს ამ ხარახურაში. ჰოდა, გამიხარდა, რომ კეთილი ხალხისა და გა-

სიკვდილი

საცალფეხო გზებს ფოთოლცვენა რთავს, ჩემს წამწამზე მზე ჩამოიხრჩობს თავს.

ამოდენა ობლები, შენ კიდენა გალოთი. სევდიანი სოფლები სერზე სასაფლაოთი.

ბედისწერასთან მე იმდენჯერ მოვიგე ომი, რომ პირამიდებს ავაგებდი ამდენი შრომით.

დედაჩემი კი ჩამჩიჩინებს: – უსაქმურებო, – და თხელ ლამაჯზე სიყვარულით მისხამს მურაბას.

ტირანი

მაგ მეფეს ღმერთი არ ერჩის, შენ რად შეაკალ თავი! ლაფში წევს, როგორც კამეჩი,

ბრიყვი, ბნელი და ავი. ხალხს უყვარს თავის ტირანი,

ვილაცის ხელის ბიჭი და კედება დაუტირალი გული, მკლავი და ნიჭი.

კარგია, არა? სხარტი, აზრიანი, ფიქრიანი... ასეთი სტრიქონებით სავსეა წიგნი... ეს ნუგზარ კობერიძეა, კაცი – ზნეობის მაგალითი, ხოლო რა პოეტიცაა, ამაზე „ჩემი საუკუნე“ გაგცემთ პასუხს.

ვილან მარდალიაშვილი

© ინფორმაცია

„მე ახალი არ მიწა, კვალი მიჩაჩენია“

თბილისის №20 საჯარო სკოლაში საპროტესტო აქციის გამო გუშინ სასწავლო პროცესი ჩაიშალა. მოსწავლეები და პედაგოგები განათლების სამინისტროს მიერ დირექტორების კანდიდატების ლოტორიით გადანაწილებას აპროტესტებენ. ისინი სკოლის ახლანდელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ კანდელაკის დირექტორობას ითხოვენ. როგორც №20 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნუგზარ კანდელაკმა განაცხადა, აღნიშნულ სკოლას გერმანულენოვანი ქვეყნების სკოლებთან თანამშრომლობის გარ-

კვეული ტრადიცია აქვს. „გული მწყდება, რომ ვინც ამ სკოლაში მოვა დირექტორად, ეს ტრადიცია მისთვის უცხო იქნება და წლების განმავლობაში აწყობილი საქმე დაიშლება“, – აღნიშნა კანდელაკმა.

პატიმრები ფუნსაცემლის კერვას ისწავლიან

ქუთაისის №2 ციხეში პატიმართა პროფესიული გადამზადების ცენტრი გაიხსნა. მსჯავრდებულები 7 თვის მანძილზე ფუნსაცემლის კერვას შეისწავლიან, აღნიშნულ პროგრამაში პირველ ეტაპზე 16 პატიმარია ჩართული. ანალოგიური ცენტრი უკვე არსებობს ქალთა კოლონიაში.

ხსოვნა

ნელი ამაშუკელი



გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული კულტურისა და ხელოვნების ჩინებული დესპანი გერმანულენოვან სამყაროში, გამორჩეული პიროვნება და ღვანდამოსილი პედაგოგი ნელი ამაშუკელი.

იგი ათწლეულების მანძილზე ნაყოფიერად იღვწოდა გერმანისტიკისა და მხატვრული თარგმანის სფეროში, ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდა გერმანისტიკის აღზრდას, თავისი შესანიშნავი თარგმანებით ხელს უწყობდა ქართული და გერმანული კულტურების დაახლოებას. ლიტერატურულ წრეებში კარგად არის ცნობილი მისი თარგმანები გერმანულიდან ქართულად: „ანა ფრანკის დღიური“, არნოლდ ცვაიგის მოთხრობები, ჰაინრიხ ბიოლის „კლოუნის თვალთახედვა“, ფრანც კაფკას „პროცესი“, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „არჩევითი ნათესაობა“, ასევე თარგმანები ქართულიდან გერმანულად: „შუშანიკის ნამება“, ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქართველ მწერალთა მოთხრობები და სხვა მრავალი.

ქალბატონი ნელის ქართველ და გერმანულ მთარგმნელებთან ერთად ნათარგმნი აქვს „ვისრამიანი“, ამასთან, არის პ. ბუდენიკის მიერ გერმანულიდან თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამოცემელი. ამას გარდა, მას ეკუთვნის ქართულ და გერმანულ ოპერათა ლიბრეტოების ექვირიტმული თარგმანები.

გამორჩეული გახლდათ ქალბატონი ნელი, როგორც თარგმანი. ეს მისი სტიქია იყო, რაშიც მთელი სისასხით ვლინდებოდა მისი ნიჭი, გონებაბამხვილობა, იშვიათი იუმორი და ენების ბრწყინვალე ცოდნა.

ნელი ამაშუკელი ერთ-ერთი იმთავანია, ვინც დიდი წვლილი შეიტანა გერმანულენოვანი სამყაროსთვის ქართული კულტურის გაცნობისა და ქართული ხელოვნების წარმოჩენის საქმეში.

ქალბატონი ნელი, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე, იყო საქართველო-გერმანიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების, ამავე საზოგადოების თბილისის ფილიალის პრეზიდენტი და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა. მიღებული აქვს ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედალი, საქართველოს ღირსებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამსახურების ორდენები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი; გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით პროფესორ-მასწავლებელი.



შვილები ნათელა, ნორა, იური, თემური, სიძეები რობერტი, დურმიშანი, რძლები ემა, ქეთინო, შვილიშვილები გოჩა, მალხაზი, არჩილი, ნიკა, ანდრო, თეონა, ლაშა, მარიამი, გიორგი, მამა ბენო მუსეროძე ოჯახით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა სარგო ბიორგის ძე მუსეროძე პანაშვიდი 7, 8 VI, 17 სთ. დაკრძალვა 9 VI, 15 სთ. მისამართი: პეკინის ქ. 6, II სადარბაზო.

მამა ბენო მუსეროძე, რძალი ირა, ძმისწულები მაია, გიგა მუსეროძეები ოჯახებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა სარგო მუსეროძე.

მეგობრები ომარ სულაქველიძე, რამაზ ყორყორიანი, გურამ ჩხიკვაძე, შუქრი სანიკიძე, თენგიზ დავლიანიძე, ვოვა კოსტავა ოჯახებით თანაუგრძობენ ედგარ ბოლოკიას შვილის ბიორგის გარდაცვალების გამო.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედაგოგიური კოლექტივი იუნყება სახელოვანი ქართველი ქალის, სპორტის ოსტატის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ყოფილი გამგის, ორგზის „ღირსების ორდენის“ კავალერის და დამსახურებული მოსწავლეების მარიამ უთვილიძის გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

● ისევ ნაციონალური მოძრაობა თუ გამოიჩენს რაიმე ინიციატივას, როგორც სჩვევია და მიხედავს ამ საქმეს, თორემ ეგ მამაძაღლები (ძაღლებზე მოგახსენებთ) დიდ უბედურებას შეგვყვრიან



გვერდი



უსახლკაროდ დარჩენილების დასახსლებლად

ამ დღეებში ტელევიზიის ერთ-ერთი არხით გახმოვანდა ცნობა, რომ ჩვენში მცხოვრები დუხობორების ნაწილი გეგმავს სამშობლოში, ანუ რუსეთში დაბრუნებას. ლაპარაკია ნინო-მინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში 1841 წელს დასახლებულ დუხობორებზე. გამგზავრების ძირითადი მიზეზი ადგილობრივ სომხებთან უთანხმოება ყოფილა.

ხელისუფლების ორგანოები უნდა შეეცადონ, გამოიხონ საერთო ენა მათთან, შეისყიდონ მათი სახლ-კარი, რაც ერთობ საჭიროა აჭარიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დასახსლებლად.

გიორგი მახარაძე,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

უქიბებო, რაველიცოთ მაჩვენა!

ჩვენი წლისა და ოთხი თვის ვაჟიშვილი ლუკა 17 მაისს მძიმე მდგომარეობაში მივიყვანეთ ჟვანიას სახელობის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს პედატოლოგიის განყოფილებაში. 20 რიცხვში ბავშვის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. თან შაბათი დღე იყო და მთელ მე-5 სართულზე ერთი ექიმი მორიგეობდა. დავრეკეთ სახლში განყოფილების გამგე ნინო ხატი-აშვილთან, რომელმაც გვირჩია, რომ ბავშვი სასწრაფოდ გადაგვეყვანა რეანიმაციაში. მალე თვითონაც მოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალბატონ ნინოს და მთელ განყოფილებას - ექიმებს, მედლებს ყურადღება არ მოუკლიათ ბავშვისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანების მონდობებამ სიკვდილს გამოსტაცა პატარა ლუკა, რომელიც პალატაში გვიწევს. მის მდგომარეობას ყოველ წუთს ამომწებს ქალბატონი ნინო, პროფესორი ავთანდილ კვეციანი, კოპაძე, მედდა მზია ხომასურიძე... ყველას უდიდეს მადლობას ვუხდით, ღმერთი იყოს მათი მფარველი, დაგელოცოთ მარჯვენა!

ლიათ ბავშვისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანების მონდობებამ სიკვდილს გამოსტაცა პატარა ლუკა, რომელიც პალატაში გვიწევს. მის მდგომარეობას ყოველ წუთს ამომწებს ქალბატონი ნინო, პროფესორი ავთანდილ კვეციანი, კოპაძე, მედდა მზია ხომასურიძე... ყველას უდიდეს მადლობას ვუხდით, ღმერთი იყოს მათი მფარველი, დაგელოცოთ მარჯვენა!

მადლიერი მშობლები:
თეა ილდანი და
გურამ მოსამდვილიძე;
მთელი სანათესაო...

რეკლამა

აქაღლეული ქალაქი, ანუ გააღლეულ ცხოვრებას ეგლა აკლდა...

ახლახან მშობლიური ხაშური მოვიარე და ერთი პრობლემა (მრავალს შორის ერთი!) კიდევ უფრო გამწვავებული დამხვდა: მანანა ძაღლების მომრავლებაზე ვამბობ, უთუოდ სხვა ქალაქებსაც რომ ანუხებებს და, რა თქმა უნდა, ჩვენს დედაქალაქსაც.

ძუნა რომელ ეზოშია „ჩანერი“ (როცა პატრონიანია), ეგ უპატრონოები („კავალერებს“ ვგულისხმობ) ხროვა-ხროვად



მიადგებიან ხოლმე როგორც საროსკიპოს და რიგში დგებიან. არის ერთი გნისი მთელი ღამე და, სხვათა შორის, შეღამებულზე გარეთ გამოსვლა მცხოვრებთ ართცუ უხიფათო ერყვენებათ.

ლა ძაღლები - რა ენაღვლებათ, პრეზერვატივები და სხვა კონტრაქტივები მაგათ არ იციან, „ლეკვის დაყრა“ უფასო ჯეკო და არც საზღვარგარეთის ელიტურ კლინიკებში გამგზავრებაზე ფიქრით ინუხებენ თავს...

ისევ ნაციონალური მოძრაობა თუ გამოიჩენს რაიმე ინიციატივას, როგორც სჩვევია და მიხედავს ამ საქმეს, თორემ ეგ მამაძაღლები (ძაღლებზე მოგახსენებთ) დიდ უბედურებას შეგვყვრიან.

ოლონდ, ზედმეტი არ მოგვივიდეს, ზოგჯერ რომ გვემართება ხოლმე ისე არ მოხდეს (ანუ ისე არ ამოვწყვიტოთ), რომ მერე კატებმა დაიწყონ ყეფა...

თეაგა ეხანოიძე

თბილისის №13 პოლიკლინიკის პოპოლათიური განყოფილება

მალალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები
თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას, C-ჰემატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ა. ჭავჭავაძის ქ. №2.

ტელეფონი: 98-64-86;
მოგილური: 8-99-55-99-61.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

ლარის კურსი

7 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შეფასების კურსი

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,3374 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6780 ლარი
ევრო	1	2,2601 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0648 ლარი.
აშერბაიჯანული მანათი	1	1,9528 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4807 ლარი.
უკრაინული გრენა	10	3,3426 ლარი.

კადრი



ანაკლოთავი

ორი ებრაელი ერთმანეთს შეხვდა:
- მოშე, შენზე ამბობენ, დაქორწინდაო. მართალია?
- ჰო.
- კმაყოფილი ხარ?
- არც ისე. ფანჯრები ეზოში გადის...



- ძალიან კარგი, ჰოდა, ილოცე, შვილო, ილოცე განუწყვეტილად, რადგან სწორედ ერთი ჟილეტი არ გვეყოფნის.

სიყვარული - ეს ის არის, როდესაც გოგო თავისი საყვარელი ადამიანის სახელს ყველგან პაროლად იყენებს.

გემი იძირება.
- ბიჭებო, რომელიმე ლოცვა იცით? - ეკითხება კაპიტანი მეზღვაურებს.
- მე ვიცი, - წამოიძახა ერთმა.

- ჩემს ცოლს საოცრად უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით - ძაღლები და კატები.
- ჩემი ცოლი კი ვეგეტარიანელია.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

<p>საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA აიფყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „გაბიალიშვილი“ მ. შოსტაავის ქ. №14. ტელ: 93-50-22. თბილისი გამომცემლობა „მოდერნი“ სტამბოლი, რაინიბისი მისი, 20.</p>	<p>გაზეთი „საბარტოველოს რესპუბლიკის“ გამომცემლობები შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: ქუჩაშავეს ქ. №14. ტ. 899 537616; 98-96-33.</p>	<p>შპს „თანადგოვა“-1 ქიზიყის ქ. №12. ტ. 899 797679; 98-96-32.</p>	<p>მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგინიძე</p>	<p>ინფორმაცია 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34. მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33. სარედაქციო განყოფილება: 98-96-32; 899 328576</p>	<p>რედაქციის მთავარი მისამართი დაგეგმვა ავტორთა სარედაქციო მისამართი მისამართი უკავრება პასუხს აგვან ავტორები, რედაქცია მისამართი, მისამართი, მისამართი არ მისამართი რედაქციის მისამართი.</p>
---	---	---	--	---	---